ფასი 50 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 63 პარასკევი, 11 ოქტომბერი, 1918 წ. № 63

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. ნ. დ. ლევიცკის დირექცია

პარასკევს, 11 ოქტომბერს 1918 წ.

ოპ. 3 მოქმ. და 7 სურ. „პიკოვაია დამა“ მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მოქმედნი პირნი: სკვარეცკისა, იანსა, მოროზოვისა, ოვსიანიკოვისა, ორლოვი, ბერეზინი, ბალაბანი, ზუბარევი, დემიანენკო, ეზროვი, კურბატოვი. დირიჟორი სტოლერმანი. დასაწყისი 8 საათზე. შაბათს, 12 ოქტ.—„მანონ“. კვირას, 13 ოქტ.—„ევგენი ონეგინი“. ორშაბათს, 14 ოქტ.—„ჟიდოვკა“.
658 1—1

მე II-ე წელ. ვაჟთა და ქალთა გიმნაზია მე II-ე წელ.

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსნისას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

1917/18 წლის გიმნაზიამ მოწაფეებს გაათავებია ბირველად.

50—37 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

განცხადება

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს. (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება: 1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. ენა, ლიტერატ. და საქართ. ისტ.) 2. ბუნების მეტყველებისა და მათემატიკისა.

ცნობად: 1) ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლიან ყველას, ვისაც სავაჟო ან საქალო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია. 2) ინსტიტუტის პირველ კურსზე ოცი სტიპენდიატის ადგილია თავისუფალი. 3) თხოვნები მიიღება ინსტ. კანცელარიაში, დიდი მთავრის ქუჩა (Великн. ул.) № 91. 6—6

მომხმარებელ „დახმარებას“ საზოგადოების

გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ წევრთა

საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, ოქტომბრის 13-ს (ახალი სტილით) დილის სწორედ 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში. კრების წეს-რიგი: 1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ; 2. 1917 წ. ანგარიში და მოგების განაწილება; 3. 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვა; 4. მორიგი საქმეები (სხვათა შორის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა); 5. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი. კრებაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ იმათ, ვისაც, თანახმად 1918 წ. აპრილის 4-ის კრების დადგენილებისა, წარმოდგენილი აქვთ 55 მანეთი საწევრო გადასახადი და პაის ფული და წევრებად მიღებულნი არიან გამგეობის მიერ. კრება როგორც მეორედ მოწვეული, კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა. უწყებები არ დაიგზავნება. 1917 წლის ანგარიში ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო არ იბეჭდება, მაგრამ გამოფენილია საზოგადოების ორსავ მაღაზიაში და საზოგადოების წევრებს მუდამ შეუძლიანთ მისი წინასწარი განხილვა, აგრეთვე ყოველგვარ ცნობების და საბუთების და წიგნების წარდგენის მოთხოვნა გამგეობის კონტორაში. 855 2—2

ქართული სამეწარმეო-სამრეწველო და სავაჭრო საქციონერო საზოგადოება „ოქროს ვერძი“

ამით აცხადებს, რომ წესდების § 50552 თანხმად ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ფოთის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების შენობაში ქ. ფოთში შესდგება აქციონერების საგანგებო

საზოგადო კრება

დღის წეს-რიგში საკითხებია: 1) ვადის დანიშვნა და იმ შემდეგ საქციო შემოსატანი ფულის რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც გაწერილია დამფუძნებელ აქციონერთა შორის.
844 2—2 2) გამგეობის ერთი წევრის გამოცვლა (§ 40). გამგეობა

თუ გიყვარს ქართული თეატრი,
თუ გიყვარს ქართ. უნივერსიტეტი
შეიძინე ქართ. ლატარიის ბილეთი!
—— 25 მან. ღირს ——
ერთმა ვინმემ ხომ უნდა მოიგოს?
შეიძლება შენ მოიგო!
პირველი მოგება
ასი ათასი მანეთია!!
სულ იგებს 2393 ბილეთი.
მოგებაში დარიგდება
ნახევარი მილიონი მან.
მაშ ნუ დახვალ, ძმაო, ეგრე განდაგანა:
ასი-ათასს მანეთს ეხუმრები განა?
ბამბადუნუმ! ბიჭოს! ერთიც ვნახოთ რომა,
არ დაგპირდეს ჯაფა, არ დაგპირდეს შრომა
და იხილო, უცბად სამოთხისა კარი.
დაჯექი და მერე ქუდი პერსა პკარი!
ბილეთები იყიდება ყველგან,
სადაც გამოკრულია!
412 60—21

[illegible]ქიმი [illegible]. პ. აზაპ[illegible]ა

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

ოფიციალური განყოფილება

კანონი

1909 წლის მარტის 18-ს კანონის (პენსიათა და ერთდროულ შემწეობათა) გაუქმებისა.

1. გაუქმებულ იქნეს პენსიათა და ერთდროულ შემწეობათა წესდების (კანონ. დებ. ტომ. III), განყოფილება (V) შესახებ პენსიის და შემწეობის დანიშვნისა იმ პირთათვის და მათი ოჯახებისათვის, რომელნიც დაზარალდნენ პოლიტიკურის მიზნით ჩადენილ ბოროტმოქმედებისაგან, (მუხ. 743—762).

2. ამ განყოფილების წესდების თანახმად დანიშნულ პენსიათა და შემწეობათა მიცემა შეწყვეტილ იქნეს.

3. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

1918 წ. ოქტომბრის 8-ს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დებულება

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელწოდების შეცვლისა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეწოდოს „საქართველოს პარლამენტი“.

1918 წ. ოქტომბრის 8.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

8 ოქტომბერს 1918 წ.

№ 50.

დავევალოთ სამინისტროს კანცელარიის დირექტორის სიო დიმიტრის ძე ჰანტურიშვილს, ქ. ქუთაისში სამსახურით გამოწვეულ გამგზავრების გამო დროებით მისი თანამდებობის ასრულება ვიცედირექტორს დ. აბხაზს, 5 ოქტომბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ჟურული.

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისა.

24 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 79.

დანიშნულ იქნენ: ცხენოსანი ბრიგადა 1-ლს ცხენოსანს პოლკში: 1. უფროსს ბეითლად მეგრელიძე 2. უმცროსს ბეითლად ხუციშვილი.

2-ე ცხენოსანს პოლკში: 1. უფროსს ბეითლად ზაუტაშვილი, 2. უმცროსს ბეითლის ადგილი თავისუფალია.

3-ე ცხენოსანს პოლკში: 1, უფროსს ბეითლად კაჭახიძე 2. უმცროსს ბეითლის ადგილი თავისუფალია.

1-ლი საარტილერიო ბრიგადა:

1-ლს დივიზიონში 1, 2, 3 ბატერია: უფროსს ბეითლად ჩხეიძე.

2-ე დივიზიონში 4, 5, 6 ბატერია: უმცროსს ბეითლად ბარათაშვილი.

3-ე დივიზიონში 7, 8, 9 ბატერია: უმცროსს ბეითლად გოგაძე.

4-ე დივიზიონში 10, 11, 12 ბატერია: უმცროსს ბეითლის ადგილი თავისუფალია.

2-ე საარტილერიო ბრიგადა.

1-ლს დივიზიონში 1, 2, 3 ბატერია უფროსს ბეითლად ტულუში.

2-ე დივიზიონში 4, 5, 6, 7 ბატერია: უმცროსს ბეითლად ვოლინკევიჩი.

3-ე დივიზიონში 8, 9 ბატერია: უმცროსს ბეითლად თაყაიშვილი.

4-ე დივიზიონში 10, 11, 12 ბატერია: უმცროს ბეითლის ადგალი თავისუფალია.

არმიის საარტილერიო ბრიგადა.

1-ლს დივიზიონში 1, 2, 3 ბატერია: უფროსს ბეითლად მაჭავარიანი,

2-ე დივიზიონში 4, 5, 6 ბატერია: უმცროსს ბეითლის ადგილი თავისუფალია.

3-ე დივიზიონში 7, 8, 9 ბატერია: უმცროსს ბეითლის ადგილი თავისუფალია.

4-ე დივიზიონში 10, 11, 12 ბატერია: უმცროსს ბეითლად ბურჯანაძე.

საცხენო-სამთო ბატარეია:

უმცროსს ბეითლად მეტრეველი.

სათადარიგო ცხენოსანი ესკადრონი.

უმცროსს ბეითლად წერეთელი.

სანაპირო ბრიგადა საწაფს რაზმში:

უფროს ბეითლად ქუთათელაძე.

შავის ზღვის რაზმში:

უმცროსს ბეითლად ამაღლობელი.

მანგლისის რაზმში:

უმცროსს ბეითლად კრასდუკოვი.

დარიალის რაზმში:

უმცროსს ბეითლად მანათაძე.

1 ქვეითა დივიზია:

უფროსს ბეითლად ქორქია.

2 ქვეითა დივიზია:

უფროსს ბეითლად როდიგერია.

24 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 80.

დანიშნულ იქნა: მეხუთე ქვეითა პოლკში (რაზმში) პოდპორუჩიკი გრიგოლია, რომელიც დროებით გაგზავნილია სამხედრო სამინისტროს საკომენდანტო სამმართველოში.

№ 81.

§ 1.

დათხოვნილ იქნა: სამსახურიდგან, თანახმად თხოვნისა, გენერალურ შტაბის განყოფილების სამხედრო საზღვაოსნო სექციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, პირველ რანგის კაპიტანი ვერხოვსკი ამა წლის ენკენისთვის 20-დგან.

§ 2.

დანიშნულ იქნა: ამიერ-კავკასიის ფლოტის ყოფილი კომანდირი, პირველ რანგის კაპიტანი ჰავჰავაძე—გენერალურ შტაბის განყოფილების სამხედრო-საზღვაოსნო სექციის უფროსად.

24 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 82

სამხედრო ხარისხსანთა შესახებ.

რადგანაც საჭიროა, რომ მეორე დივიზიის მეუფროსე დივიზიის შედგენილ ყოფის მნიშვნელოვანს დროს იმყოფებოდეს დივიზიასთან, ვუბრძანებ გენერალს წულუკიძეს გადასცეს აღბულაღის რაზმის მეუფროსეობა ჩემს განკარგულებაში მყოფს გენერალ-მაიორს ციციშვილს.

სამსახურის სახელით ვმადლობ გენერალს წულუკიძეს მოხერხებულის განკარგულებლობისა და მუყაითის მოქმედებისთვის, რომლითაც მან უმთავრესად ხელი შეუწყო აღბულაღის ამბების სწრაფად და მცირედის მტკივნეულობით ბოლოს მოღებას.

26 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 83.

§ 1.

ჩარიცხულ იქნა: მთავრობის თავმჯდომარის განკარგულების თანახმად, შტაბს-კაპიტანი ალექსი სვანიძე—სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის ნაწილში, შტატს გარეშე.

§ 2.

დანიშნულ იქნა: მთავრობის თავმჯდომარის განკარგულების თანახმად შტაბს—კაპიტანი ალექსი სვანიძე—სამხედრო ატაშეს მოვალეობის აღმასრულებლად უკრაინაში მყოფ საქართველოს დიპლომატიურ მისიასთან.

სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალ-მაიორი **გედევანიშვილი.**

არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 11 ოქტომბერი.

გერმანიის დღევანდელმა საზავო სულისკვეთებამ მის მოწინააღმდეგეებს თავი დააკარგვინა. ჰგონიათ საბოლოოთ დამარცხდა გერმანია და ბურთი და მოედანი გვრჩებაო.

სულ ახლო მომავალი დაგვანახვებს რამდენათ შემცდარია მოწინააღმდეგე კოალიციის იმპერიალისტური ოპტიმიზმის მათაყვანებელთა შეხედულება, რამდენათ გადაჭარბებულია მათი წარმოდგენა გერმანიის ძლიერების დაცემაზე.

გერმანიამ დიდი პოლიტიკური გადატრიალება მოახდინა შინ მშვიდობიანათ და ამავე დროს მოწინააღმდეგეებს მიმართა, ზავი ჩამოვაგდოთო. ამ მხრით დღეს გერმანიამ თავისი მოვალეობა შეასრულა და ელის პასუხს თავის საზავო წინადადებაზე.

თუ მიღებულ იქნა ეს წინადადება გერმანიის ახალი პარლამენტარული მთავრობისა, კაცობრიობა, მიუხედავად გადატანილი უბედურებისა, თავისუფლად ამოისუნთქავს და ზავის დროშა აფრიალდება ხალხთა შორის. თუ უარყოფილ იქნა, ომი კიდევ მეტი შეუბრალებლობით გაგრძელდება და მის ალში დაინთქება კულტურის და ცივილიზაციის უკანასკნელი გადარჩენილი ნაყოფი.

ამ შემთხვევაში გერმანიის ხალხი ისტორიულ პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება და იგი იძულებული ხდება მთელი თავისი ძალები თავისებურათ შემოიკრიბოს, დარაზმოს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთოს მაღაგალვძებულ შემოსეულ უთვალავ მტერს.

ახლა დამტკიცდება რამდენათ ჭკვიანური და მეცნიერული იყო ორი კულტურის Culture (გერმანიის მოწინააღმდეგეების და Kultur (გერმანიის) დაპირდაპირება, რომელსაც ასე ხშირათ მიმართავდენ ხოლმე შეთანხმების სახელმწიფოთა იმპერიალისტური სულით გაჟღენთილი მწერლები.

ვითომ ერთი კულტურა, გერმანული ცივილიზაცია იყოს სამხედრო, ხოლო მეორე, მისი მოწინააღმდეგე ცივილიზაცია მშვიდობის-მყოფელი. ერთი ვითომ ხალხთა თანამშრომლობას ამტკიცებს და საყოველთაო ბედნიერებისათვის იბრძვის, მეორის ფილოსოფიით კი კაცობრიობა მიტომ ცხოვრობს, რომ იომოს. პირველი აღიარებს ურთიერთ დახმარების ბიოლოგიურ კანონს, მეორე მხოლოდ არსებობისათვის გაშიშვლებულ ბრძოლას. მშვიდობიანი ცივილიზაცია მოასწავებს თანასწორობას, სამხედრო კი კლასთა და ერთა უთანასწორობასო და სხვა.

აი ასე უსუსურათ მსჯელობდა მრავალი ნაციონალისტი ინტელიგენტი შეთანხმების სახელმწიფოებში. ჩვენ მშვიდობის-მყოფელ კულტურას წარმოვადგენთ, გერმანია კი დაპყრობითს, სამხედრო კულტურასო.

დღეს უფრო ნათლათ დაინახავს ყველა, თუ რა ფასი ჰქონდა და აქვს ამისთანა პოლიტიკურ ლათაიებს.

იქ, სადაც იმპერიალისტური ინტერესები ერთი ერთმანეთს ეჯახება, მოწინააღმდეგენი სამხედრო ნიადაგზე სდგანან და ყოველი მშვიდობის-მყოფელობა გამქრალია.

დღეს ბრმაც კი უნდა ხედავდეს, რომ ახლა ანტი-გერმანული კოალიცია უარესი სამხედრო ინსტიქტებით არის ამოძრავებული და თავისთავად მის შინაგან ლტოლვილებას არავითარი მშვიდობის-მყოფელობა, თანამშრომლობა და თანასწორობა არ შეადგენს.

ყოველ შემთხვევაში მშვიდობის-მყოფელობისათვის და ხალხთა შორის თანხმობის ჩამოსაგდებლათ დღეს საერთაშორისო ასპარეზი გაშლილია. და ვნახოთ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტები რამდენათ გამოეთხოვებიან თავის სამხედრო ადათებს და გამოიჩენენ გულწრფელ სიყვარულს „მშვიდობიან ცივილიზაციისა“ და საერთაშორისო ზავისადმი.

ხელი მათკენ უკვე გაწვდილია!

ხალხი, დემოკრატია—ეს ერთად ერთი მართლა გულწრფელი მოსარჩლე უფრჩხილებო კულტურის და მშვიდობიანობისა—იმედია ერთხმად ზავს დაიგრგვინებს და აიძულებს თავის იმპერიალისტურ მთავრობას მშვიდობიან მოლაპარაკებაზე დასთანხმდეს, რათა საზავოთ გამოწვდილი ხელი ჰაერში არ დარჩეს და ისევ მახვილს არ დაუბრუნდეს.

⁂

რუსეთის სახელმწიფოებრივ აღდგენაზე თანდათან ხშირდება პოლიტიკური ლაპარაკი. ამას აძლიერებს შეთანხმების კოალიციის შემოტევა და დღევანდელი საერთაშორისო ვითარება.

ყველა რეაქციონერმა, ამდენხანს ენაჩავარდნილმა ლიბერალმა ენა ამოიღო და შეუდგა რუსეთის აღდგომის პლანების თხზვას.

გენ. ალექსეევის კონტრ-რევოლიუციონურ ჯარის მოქმედება ხომ ცას სწევს რუსეთის „პატრიოტებს“. ცხადია გენ. ალექსეევის ჯარს რუსეთის აღდგენასთან ერთად სურს რუსეთის ძველი წესწყობილების რესტავრაციაც. ეს ცხადია.

რაღა თქმა უნდა ჩვენ დიდი მომხრე ვართ, რომ რუსეთი განთავისუფლდეს დღევანდელი დამღუპველ ანარქიისგან და აღსდგეს მისი საზოგადოებრიობა და სახელმწიფოებრიობა. მაგრამ სულ სხვა კითხვაა როგორ საზღვრებში უნდა მოხდეს რუსეთის მთლიანობის აღდგენა.

რუსის ნაციონალისტები და საზოგადოთ რუსის ყველა დიდმპყრობელური ელემენტები ფიქრობენ აღადგინონ დიდი რუსეთის სახელმწიფო ძველ საიმპერიო საზღვრებში. ეს კი, რა თქმა უნდა, ძირითადათ ეწინააღმდეგება გამოყოფილ სახელმწიფოთა და ერთა ინტერესებს და თავისუფლებას. ამას არ დაუშვებს არც ერთი თვითგამორკვეული, თავისუფლების მოყვარული და დამოუკიდებელი ხალხი.

მაშასადამე რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენა უტოპიაა, რომლის განხორციელების ცდა სასტიკ წინააღმდეგობას გამოიწვევს განთავისუფლებულ ხალხთა შორის. ამასთანავე არც საერთაშორისო მდგომარეობის ლოღიკა თხოულობს რუსეთის ამგვარ აღდგენის საჭიროებას..

რუსეთის არც ერთი მთავრობა თავის ნებით არ აღიარებს გამოყოფილ ერთა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. მაგრამ მდგომარეობა, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, უფრო ძლიერია დიდპყრობელურ სურვილებზე და ამიტომ რუსეთიც იძულებული არის და იქნება თავი შეიმოკლოს და აღსდგეს იმ საზღვრებსა და პირობებში, რომელიც შესაძლებელია პოლიტიკური სინამდვილის მიხედვით და ეთანხმება ხალხის თვითგამორკვევის უფლებას.

მართალია, რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს რომ იძულებითი ცნობაა რუსეთის მხრივ და არა ნებაყოფლობითი, ეს შეიძლება არ იცოდეს მხოლოდ „რუსკაია დუმის“ პოლიტიკურმა მექრონიკემ (№ 5) რომელსაც, მელასი არ იყოს, რაც ავონდება, ის ესიზმრება.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ, რომ ნამდვილი დემოკრატიული რესპუბლიკა, ნამდვილი რუსეთის დამფუძნებელი კრება, რევოლიუციის ნიადაგზე მდგარი, დაადასტურებს და იცნობს მომხდარ ფაქტს ერთა განთავისუფლებისას და ახალ სახელმწიფოთა დაბადებისას. ხოლო რეაქციონური, რესტავრაციული და ლიბერალურ-კონტრრევოლიუციონური რუსეთი ამას, რა თქმა უნდა, არ იცნობს, მაგრამ მაშინ არც ეს ახალი სახელმწიფონი და განთავისუფლებული ერები იცნობენ რეაქციონურ რუსეთს და მის დიდპყრობელურ მიდრეკილებას.

ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ დიდი რუსეთის გაერთიანების მქადაგებლებმა და მოღვაწეებმა—გენ. ალექსეევები იქნებიან ისინი, თუ სოციალისტურ ქურქში გახვეული ვაჟბატონები, მონარქისტები, თუ ანარქისტები.

საუბარი პროფესორ ცუხმაიერთან.

(დასასრული).

გერმანიის ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯი.

გერმანიის ახალი მთავრობა, ისე როგორც ეს ძველი მთავრობის დროსაც იყო, უპირველეს ყოვლისა მოწადინებულია ამ არ ნახული ომისაგან გამოწვეული სისხლის ღვრა შეაჩეროს. ამისათვის 5 ამ თვეს მან მიმართა დეპეშით ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ვილსონს, სადაც გერმანიის მხრით გამოთქმულია სურვილი ზავის შეკვრისათვის მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ეს ნოტა ვილსონს გაეგზავნა შვეიცარიით, ბერნით. გერმანიამ ვილსონს იმიტომ მიმართა ნოტით, რომ სწორეთ ვილსონმა გამოსთქვა სურვილი, რათა ზავი შეიკრას და კაცობრიობა ამ დიდ უბედურებისაგან გადარჩენილ იქნას. თუ მართლა ეს სურვილი გულწრფელია და აგრეთვე ინგლისს და საფრანგეთსაც მართლა უნდათ ომის გათავება, მაშინ ისინი ჩვენს წინადადებას მიიღებენ და ზავის დაწყების შესახებ თანხმობას განგვიცხადებენ.

მხოლოდ თუ ეს არ მოხდა, მაშინ ყველამ, მთელმა ქვეყანამ იცოდეს, თუ ვისი ბრალია, რომ ამდენი ხანი კაცობრიობა ომისაგან წარმომდგარ უდიდეს უბედურებას განიცდის. გერმანიის ამ ნოტას უკვე მიემხრენ როგორც ავსტრო-უნგრეთი ისე ოსმალეთი. როდესაც ამას წინათ ავსტრო-უნგრეთმა ინგლის—საფრანგეთ—იტალიას მიმართა ნოტით ზავის შეკვრის შესახებ, კანცლერმა ჰერტლინგმა,—თუმცა დიდი თანაგრძნობით შეხვდა ავსტრო-უნგრეთის ამ წინადადებას,—მაგრამ მაინც არ გადადგა ესა თუ ის საპასუხისმგებლო ნაბიჯი თავის მხრით, ეხლა კი ახალმა მთავრობამ, როგორც უკვე ვსთქვით, გულწრფელი სურვილით აღჭურვილმა, მიმართა თავის მოწინააღმდეგეებს. პასუხი ჯერ არ მიუღია გერმანიას. დაწვრილებით იმ პირობების შესახებ, რომლითაც გერმანია განსაზღვრავს თავის სურვილს ზავის ჩამოგდებაზე, ჩვენ არაფერი არ ვიცით ჯერ, მხოლოდ, ჩემის აზრით, კაცობრიობა იმყოფება ეხლა უუდიდეს მოვლენათა წინაშე, მე მგონია, რომ მსოფლიო ომს ბოლო ელება.

მშვიდობიანობის დამყარების დღე შორს აღარ არის.

ქალაქ რეიმსის დაკავების შესახებ.

დეპეშების სიტყვით, ვითომც ქალაქი რეიმსი საფრანგეთის ჯარმა დაიკავა ახლა. ნამდვილათ საქმის ვითარება ამ შემთხვევაში შემდეგია: 1914 წელს, სექტემბერში გერმანიის ჯარმა აიღო ეს ქალაქი, მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ ამავე 1914 წელს, გერმანიის ჯარმა დასტოვა ქალაქი. მას უკან დღემდე, ესე იგი ოთხი წლის განმავლობაში ქალაქი რეიმსი ეკავათ ფრანგებს და რომელი კიდევ ახალი ქალაქი რეიმსი აიღეს ახლა ფრანგებმა, ჩვენ არ ვიცით. ქალაქ რეიმსის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ ჯარს ეჭირა ორი თუ სამი ფორტი, და გერმანიის ჯარებმა ეს ფორტები მართლაც დასცალეს ეხლა. შესაძლებელია აქედან წარმოსდგა ცნობა, ფრანგებისაგან ეხლახან ქალაქ რეიმსის აღების შესახებ.

მეცი და სტრასბურგი.

მეცი და სტრასბურგის აღების შესახებ გავრცელებული ჭორები ისე სასაცილო და უნიადაგო არის, რომ მასზე ლაპარაკიც კი ზედ-მეტად მიმაჩნია.

პალესტინის ფრონტი.

ინგლისელებს ქალაქ დამასკის დაკავების შემდეგ წინ აღარ წაუწევიათ. ეხლა ამ ფრონტზე რაიმე დიდ—შესანიშნავ საომარ ოპერაციებს არ აქვს ადგილი.

იტალიის ფრონტი.

იტალიის ფრონტზე ავსტრო-უნგრეთის ჯარი საკმაოდ ძლიერია. ამიტომ ავსტრო-უნგრეთს შეუძლიან საკუთარი ძალ-ღონით გაუმკლავდეს იტალიას. გერმანიის დახმარება ამ ფრონტზე საჭირო არ არის. საერთოდ საფრთხე აქედან არავითარი არ მოგველის.

უკრაინა და გერმანიის ჯარი.

ხმები, ვითომც უკრაინიდან გერმანიას გაჰყავდეს ჯარი და გზავნიდეს მას სხვაგან ამა თუ იმ უფრო საჭირო ალაგს, სრულიად არ შეიცავს სიმართლეს.

პირიქით გერმანია უკრაინაში ჰგზავნის დღესაც ახალ ჯარს, საკმარისად დიდ რიცხვოვანს; ასე რომ, ეს ცნობა პირდაპირ გადამახინჯებულ და ასე ვსთქვათ გადმობრუნებულია.

ოსმალეთის ჯარი ადერბეიჯანში.

ტფილისის ზოგიერთ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რასაკვირველია, სრულიად შეცდომით, ვითომც ოსმალეთს ადერბეიჯანიდან გამოჰყავდეს ჯარი და აგზავნიდეს სხვა ფრონტზე. თანაც ისე იყო გადმოცემული ეს ცნობა, რომ მკითხველს შეეძლო წარმოედგინა, ვითომც ოსმალეთს თითქმის მთლად გამოჰყავს ჯარი ადერბეიჯანიდან; იყო ნათქვამი გამოჰყავს ჯარი მასიურათო, ეს, ვიმეორებ შეცდომაა. საქმე იმაშია, რომ ადერბეიჯანში იმდენი ჯარი ოსმალეთისა, რამდენიც ამ ჟამად იქ იმყოფება, საჭირო სრულიადაც აღარ არის, ამიტომ, მხოლოდ ერთი ნაწილი ჯარისა ოსმალეთს გამოჰყავს, და იმავე დროს იქ რჩება ოსმალეთის ჯარის ის მეორე ნაწილი, რომელიც სრულიად საკმარისია, რათა წესიერება დაცული იქნეს და საერთოდ ადერბეიჯანის დღევანდელ მდგომარეობას არსაიდან არავითარი საფრთხე არ მოელოდეს.

ნავთის საკითხი.

ბაქოში, სამწუხაროდ ცისტერნები ცოტაა. სამაგიეროდ ნავთი რეზერვუარებში იმდენია, რომ ის მაზუთი, რომლის ამოღების იმედი ახლო მომავალში უეჭველია, სად შეინახონ, არ იციან. უკვე გამოვიდა ბაქოდან ნავთიანი ცისტერნები. თითო ორთქლმავალს მოაქვს 25—30 ცისტერნი. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მხრით ჩვენი მდგომარეობა სულ მალე გაუმჯობესდება.

დ.

ალექსეევის შტაბთან და ყუბანის მთავრობასთან ბ. ევგენი გეგეჭკორის მოლაპარაკება.

(გაგრძელება).

გეგეჭკორის სიტყვა. აქ მოცემულ კითხვების ნაწილზე მე პასუხი უკვე მოგახსენეთ. კერძოთ, რაც შეეხება რუს ოფიცრების და მოხელეების მდგომარეობას საქართველოში, მე შემიძლიან წინადადებით მივმართო მოხალისეთა ჯარს და ყუბანის მთავრობას, იყოლიოს საქართველოს მთავრობასთან თავისი ოფიციალური წარმომადგენელი, მაშინ, მე მრწამს, რომ ასეთ გაუგებრობას და იჭვებს ადგილი აღარ ექნება ჩვენ შორის. რაც შეეხება საქართველოში დარჩენილ ქონებას და ფულის ნიშნებს, მე უნდა განვაცხადო: ფულის ნიშნები ისე ცოტა დარჩა, რომ მაზე ლაპარაკიც ზედმეტია, დღემდე და დღესაც ჩვენ ვარსებობთ იმ მანქანების წყალობით, რომელნიც განუწყვეტლივ მუშაობენ; დარჩენილი ქონების შესახებ საკითხი უნდა გადაწყდეს სულ სხვა ნაირ განწყობილებაში და უფრო მსხვილ უფლებრივ და ავტორიტეტულ კრებაზე. და როდესაც ჩვენ საქმე გვექნება რუსეთის სახელმწიფოსთან, მაშინ გარწმუნებთ, რომ ჩვენ უარს არ ვიტყვით დარჩენილ ანგარიშის გასწორებაზე.

ამასთან ერთად გენერალ ალექსეევის განცხადებაზე ტუაპსეში ჩვენი მთავრობის დაყენების შესახებ, უნდა განვაცხადო შემდეგი: როდესაც პირველად გენ. მაზნიაშვილმა აიღო ტუაპსე, მოხალისეთა ჯარის არსებობაზე არავინ არაფერი იცოდა და რასაკვირველია წესრიგის დასამყარებლად გენ. მაზნიაშვილმა დანიშნა მთავრობა. როცა ტუაპსე ბოლშევიკებს გადაეცა, გენ. მაზნიაშვილს მოუხდა ტფილისში გამგზავრება და მან წასვლის დროს გენ. მასლოვსკი დანიშნა სამხედრო ნაწილის უფროსად, ხოლო გენერალ ვაშაკიძეს გადასცა საერთოდ მმართველობა და გენერალ გუბერნატორის მოვალეობის აღსრულება. ქ. ტუაპსე ხელ ახლა აღებულ იქნა გენ. მასლოვსკის რაზმით და ქართველი ნაწილებით და საერთოდ სამხედრო უფროსების ბრძანებით მთავრობა თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. გენ. ვაშაკიძის მიერ დანიშნულ მთავრობის გადაყენებამ მოხალისეთა ჯარის ნაწილების და მათ მმართველების მხრივ განცვიფრება გამოიწვია. მე გარწმუნებთ თქვენ, რომ მთავრობის დანიშვნა ტუაპსეში გამოიწვია რეალურმა აუცილებლობამ და რომ შემდეგში არ განმეორებულიყო ის სამწუხარო ამბები, რომელსაც ტუაპსეში ადგილი ჰქონდა, რომლის დროს ძლიერ დაზიანდნენ დარჩენილი ქართველები. და მოხალისეთა ჯარის ორგანიზაციას, რომელსაც დასახული აქვს ფართე მიზნები და პერსპექტივები რუსეთის აღდგენის გარშემო არ შეუძლიან ყოველთვის თავის დროზე უზრუნველყოს მცხოვრებთა ცალკე ჯგუფების მშვიდობიანი არსებობა. სოჭის ოლქში 21 პროცენტამდე ქართველები სცხოვრობენ და მე მგონია, რომ სანამ საქართველო არ მიიღებს გარანტიას იმისას, რომ ტუაპსის ისტორია არ განმეორდება, მას, საქართველოს, არა აქვს არც პოლიტიკური და არც მორალური უფლება სოჭის ოლქი დაცალოს. მე არ დაგიმალავთ თქვენ, რომ ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ტუაპსე დაბეჯითებით მოგვეთხოვა, მაგრამ მე ასე არ ვიქცევი ჩვენ ტუაპსეს დატოვებას ვსთვლით ჩვენის მხრით დიდ დათმობათ, მაგრამ ჩვენ არ გვსურს საქმე გავართულოთ და ამ დათმობაზე მივდივართ, ამ გარემოებას თქვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ. ამასთან ერთად მე ვფიქრობ ჩვენ მიერ სოჭის ოლქის დაკავება სრულებით არ ეწინააღმდეგება თქვენს მიზნებს და საქმეს.

დენიკინი. გაცნობებთ, რომ გენერალ მასლოვსკი მაზნიაშვილის განკარგულებაში არ იყო და როდესაც ქართველებმა დაიხიეს სოჭისაკენ, მათთან ერთად წავიდა მთავრობაც. მოხალისეთა ჯარი, რომელსაც ომის მიერ მინიჭებული უფლებით სტავროპოლის გუბერნია, ყუბანი, რასაკვირველია, როცა ცალკე ქალაქებს იღებს, თავის მთავრობას აყენებს. გაუგებრობას იწვევს ქართველი რაზმის გაძლიერება ჯუღელის და კონიაშვილის ახალი რაზმებით, რომელიც გადმოსხეს სოჭაში.

ბიჩი. ჩვენ ყოველთვის კრიტიკულად და ფრთხილად ვეპყრობოდით იმ ცნობებს, რომელიც რუს ოფიცრების და მოხელეების შევიწროების შესახებ მოდიოდა აქ. მე კარგად ვიცნობ ქართველებს და ამიტომ არ უჯეროდი ამ ხმებს.

ამიტომ მე ღრმად მწამს ყველა ის, რაც აქ ევგენი პ. გეგეჭკორმა სთქვა, და ყუბანის მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ ამ საკითხზე მსჯელობა ამოწურულია. მე უნდა აღვნიშნო, რომ ახლა ცალ ცალკე ერების დამოკიდებულებაში ზოგიერთ ელემენტებს შეაქვთ გამთიშველი და წამსისიანებელი სული, ეს განხეთქილება და წასისიანება ხდება გარეშეთა მიერ განსაზღვრული სისტემის თანახმად. მე ვფიქრობ, რომ აქაც ისეთი ხელი მუშაობს, რომელიც ჩვენ წინეთაც გვთიშავდა, აქ მუშაობს ის მესამე, რომელიც ყოველთვის გახარებულია, როცა სხვები დავობენ. მე ჩვენი პროგრამის მიხედვით უნდა ვსთქვა, რომ ყველა კერძო სადავო საკითხები, რომელიც აქ აღმოცენდება, ადვილათ შეიძლება მოვიშოროთ, ხოლო ჩვენი ურთიერთობის საფუძვლები გვაძლევს საშუალებას ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ჩვენ ყველაფერში შევთანხმდებით. რაც შეეხება პურის საკითხს, როგორმე ისე უნდა მოვაწესრიგოთ, რომ გერმანელებმა არ ისარგებლონ. ამის შესახებ მე მგონია ჩვენ გამოვიმუშავებთ ისეთს ზომებს, რომელიც ორივე მხარესათვის მისაღები იქნება.

ევგენი პ. გეგეჭკორის ახსნა-განმარტება საქართველოში დარჩენილი რუსეთის ქონების შესახებ მე სავსებით მაკმაყოფილებს და ჩვენ ამ ჟამად არ ვაცხადებთ პრეტენზიას დარჩენილი ქონების დაუყონებლივ გაყოფაზე, თუმცა ვიცი, რომ ნაწილი იქ დარჩენილია. ამის გაყოფა ცხადია უფრო მსხვილი და მთელი რუსეთის ორგანოს საქმეა.

შავი ზღვის გუბერნიის ყუბანის ოლქში შესვლა, მე მგონია, არ გამოიწვევს საქართველოს პროტესტს. ჩვენ აქ გვაქვს უფლება განვაცხადოთ, რომ საქართველოს არა აქვს უფლება მას ხელი წაუპოტინოს. და თუ ეს მთავარი კითხვები გადაჭრილი იქნება, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან შევუდგეთ ცალკე კითხვების გადაჭრას.

ლუკომსკი. მე საკითხი რუს მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ საქართველოში დამთავრებულად არ მიმაჩნია. შეუძლებელია ასე ერთი ხელის მოქნევით გადავსწყვიტოთ ეს საკითხი, როგორც ამას ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი ბიჩი შვრება. საჭიროა გარკვეული გარანტიები ამის შესახებ. მე მგონია, რომ დაუშვებელია რუსეთის ქონების საკითხის გადაჭრა მივანდოთ მთელი რუსეთის საერთო ორგანოს. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ნაწილობრივ მაინც გადავსწყვიტოთ ის, მაგ. სამხედრო მასალის შესახებ, ან და სხვა საკითხების შესახებ, იმ საკითხების, რომელიც საქონლის გაცვლა-გამოცვლის წესრიგში შედის. რაც შეეხება პურს, მე სავსებით ვუერთდები ბიჩის აზრს, ვინაიდან ჩვენი პური უნდა მიდიოდეს საქართველოში და არა სტამბოლში. საზღვრების შესახებ საკითხს მე ვსთვლი გამოურკვეველად. საქართველოს წარმომადგენლის სიტყვებიდან მე გავიგე, რომ სოჭი მათ დაკავებული აქვთ დროებით და დააბრუნებენ მხოლოდ საქართველოს დანარჩენ ორგანიზმთან, თუ კი დააბრუნეს. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი გამუქებულ უნდა იქნას ყოველ მხრივ და ბოლომდის ითქვას ყველაფერი.

დენიკინი. მე მგონია, უპირველესად ყოვლისა უნდა გადავსწყვიტოთ საერთო პოლიტიკური ხასიათის კითხვები. ყველა აქ თქმულისაგან მე ის შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ ჩვენ ვსწყვეტთ შემდეგ საკითხებს: პირველი, საქართველოსთან დამოკიდებულება; მოხალისეთა რაზმმაც და ყუბანის მთავრობამაც აღნიშნეს, რომ ისინი სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას; მეორე, მოხალისეთა ჯართან დამოკიდებულება; რამდენათაც მე გავიგე საქართველოს წარმომადგენლის სიტყვებიდან საქართვ. დამოკიდებულება მოხალისეთა ჯარისადმი მეგობრულია. ე. პ. გეგეჭკორის განცხადება გერმანელებთან ურთიერთობის შესახებ, სავსებით მაკმაყოფილებს. მხოლოდ ერთი კითხვა რჩება გამოურკვეველი საქართველოს წარმომადგენლის სიტყვებისაგან —ის, რომ ბოლშევიკებიც ბრალს სდებენ მათ მოხალისეთა ჯართან კავშირის დაჭერაში და ამიტომ ვსთხოვ საქართველოს წარმომადგენელს ახსნას ეს ფრაზა და ბოლშევიკების შესახებ გააკეთოს დაბეჯითებითი და გარკვევითი განცხადება.

გეგეჭკორის სიტყვა. ბოლშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ შემიძლიან განვაცხადო, რომ ჩვენში ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შეუწყნარებლათ სწარმოებს. ჩვენ მთელი ჩვენი ღონისძიებით ვდევნით ბოლშევიზმს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, რომელიც ემუქრება სახელმწიფოს მთლიანობას და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს დავამტკიცეთ მთელი რიგი საბუთებით, რომელნიც თვით აშკარად ღაღადებენ თავიანთ თავზე.

გარანტია იმის შესახებ, რომ პური გერმანელებს არ გადაეცეთ, აქაც მე ვფიქრობ, რომ ეს ადვილად მოეწყობა, ვინაიდან აქედან გატანილი პური პირდაპირ მთავრობის ხელში გადავა, რომელიც თავის დღეში არ დაუშვებს იმას, რომ პური სხვის ხელში გადავიდეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი მცხოვრებნი პურს დიდათ საჭიროებენ.

მგონია აგრეთვე, რომ ამ ჟამად საჭიროებას არ წარმოადგენს დავა იმის შესახებ, რომ ჩვენს რაიონში იყოს სოჭის ოლქი. მოხალისეთა რაზმი ხომ დღეს ჩრდილოეთისაკენ უნდა მიისწრაფოდეს და მას იმდენი თავისი საქმე და სამუშაო აქვს, რომ დროებითი ჩვენი ყოფნა ამ რაიონში, ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის დავას არ უნდა წარმოადგენდეს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შევთანხმდებით შემდეგ ფორმულაზე: სოჭის ოლქი დროებით საქართველოში დარჩეს.

ალექსეევი. ეს ფორმულა ძლიერ გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელია.

გეგეჭკორი. ეხლა ყველაფერი ჩამოუყალიბებელი და გაურკვეველია.

ვორობიოვი. მე ეხლა ვილაპარაკებ არა როგორც ყუბანის წარმომადგენელი, არამედ როგორც კერძო პირი. ჩემის აზრით ამ კითხვის გადაჭრაში შეცდომაა დაშვებული, რომელსაც შეუძლიან ბოლოს გაუგებრობა გამოიწვიოს. ლაპარაკია სულ სოჭის ოლქის შესახებ და არაფერი თქმულა გაგრის ოლქზე. რას ფიქრობენ ამ ოლქის შესახებ? ისეთი შთაბეჭდილება იქნება, რომ თითქოს მას ქართველები უდავოდ თავისად თვლიდენ, მაშინ როცა ეს ასე არ უნდა იყოს. მთელი ეს ოლქი აშენებულია პრინც ოლდენბურგის შრომით და მარტო გაგრისათვის დახარჯულია, ფულის ძველი ღირებულების დროს 10 მილიონ მანეთამდე. ამის გარდა, მთელ ოლქში მხოლოდ ერთი სოფელია და ისიც ნახევრათ ქართველებისაგან დასახლებული და ყველა იქ დახარჯული კაპიტალი, წმინდა რუსულია. აი ეს გარემოება უნდა ვიქონიოთ სახეში შემდეგ მსჯელობის დროს და თუ საქართველოს საზღვრებზე ვილაპარაკებთ, უნდა აღვადგინოთ საზღვრები ისე, რომ აფხაზეთიც შიგნით მოჰყვეს, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ აფხაზეთი მზათ არის ყველაფერზე, ოღონდ რუსეთს კი შეუერთდეს. მართალია, უკანასკნელათ ემჩნევა საქართველოს მთავრობას ქალაქების გაქართულების სურვილი, ნიშნავს იქ თავის კომისრებს და სხვა, მაგრამ ეს სრულიად არ არის საკმარისი, რომ ეს ოლქები საქართველოს კუთვნილებათ ჩავთვალოთ. ამით მე ვათავებ დღეს.

სტეფანოვი. საზღვრების შესახებ მე იმას ვიტყვი მხოლოდ, რომ 1905 წლის გამიჯვნით გაგრა შედის შავი ზღვის გუბერნიაში. პატივცემულ ევგ. პ. ახსნაში, ორი ადგილი ჩემთვის გაუგებარია, ერთი გერმანელების მიერ საქართველოდან პურის გატანის შესაძლებლობის შესახებ. სიტყვა ეხება, რასაკვირველია, არა იმ პურს, რომელიც აქედან გავა, არამედ იმ პურს, რომლის შესყიდვის უფლებას აძლევთ ადგილობრივათ. თუ მისი თავისუფალი ყიდვის ნება მიეცემათ, მაშინ არავის არა აქვს იმის გარანტია, რომ იმის შემდეგ, როცა ჩვენ საქართველოს ბაზარზე პურს გავამრავლებთ, გერმანელებს საშუალება მიეცემათ მისი შესყიდვისა.

მეორე: რას ნიშნავს ფრაზა დროებით გვიჭირავს. რომელ დრომდე, განა იმ დრომდე, სანამ მოხალისეთა რაზმი რეალურათ უზრუნველყოფს საქართველოს მცხოვრებთა არსებობას, ან დამფუძნებელ კრებამდე? მაგრამ მაშინ ხომ არავითარი აზრი არა აქვს ეხლანდელ თათბირს.

დენიკინი. კითხვის გადაწყვეტა შეიძლება უბრალოთ; თუ საქართველოს ეშინიან ბოლშევიკების და საქართველოს რაზმების სოჭის ოლქში ყოფნა ამით აიხსნება, მაშინ ჩვენ, ჩვენი ჯარებით დავიკავებთ მას და თუ ვერ გაუვუმკლავდით, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან დახმარება ვთხოვოთ თვით საქართველოს.

დროგომიროვი. საქართველოში რუსების შევიწროვების კითხვა აუცილებლად უნდა გადავჭრათ. როგორს მდგომარეობაშია ქვეშევრდომობის საკითხი? სჩანს მთლად კარგათ არ არის, რუსების თავმოყვარეობა შელახული უნდა იყოს, რომ რუსები ასე გამორბიან იქიდან.

ბიჩი. მე ამ კითხვას არ გავურბოდი, მაგრამ გამოსავალ გზათ მიმაჩნია საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლის გაგზავნა. 1 საათზე და 20 წ. ალექსეევი სწყვეტს კრებას მეორე დღემდე.

ეროვნული საბჭო

მე-36 სხდომა

პარასკევი, 6 ენკენისთვე 1918 წ. ტფილისი, სასახლე.

შ. მიქელაძე (ს. ფ.) პირველისავე დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ეროვნულმა საბჭომ თავის აქტის, დამოუკიდებლობის აქტის,—მეშვიდე მუხლში აღნიშნა, რომ ეროვნული საბჭო შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებით. ასეთივე დადგენილება შემდეგ კრებაზე 29 მაისს კვლავ მიიღო ეროვნულმა საბჭომ. მაგრამ კანონ-პროექტი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების არ იქნა შემოტანილი საქართველოს ეროვნულ საბჭოში იმის გამო, რომ არ იყო შემუშავებული კანონ-პროექტი შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობისა. ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში, უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში წევრებად გამხდარიყვნენ ისეთი პირნი, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად არ ითვლებიან.

დღეს უკვე ეს მოქალაქეობის კანონი მიღებულია და ამგვარად შესაძლებელია ავასრულოთ ის დადგენილება ეროვნული საბჭოსი, რომელიც წინად იყო მიღებული.

ამ კანონ-პროექტის ორი უმთავრეს მუხლიდან ერთი ეხება ეროვნულ უმცირესობის რაოდენობას, და ამ რაოდენობის მიხედვით ხმის განაწილებას, წარმომადგენელთა განაწილებას საქართველოს ეროვნულ საბჭოში.

მეორე კი ეხება იმას, თუ რა დაწესებულებიდან და როგორ იქნებიან მოწვეული ეროვნულ საბჭოში წევრები ეროვნულ უმცირესობათაგან. ეროვნულ საბჭოს სამანდატო კომისიამ გამოიანგარიშა, რა თქმა უნდა, დაახლოებით რიცხვი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობისა. ტერიტორიათ ნავარაუდევი იყო ტერიტორია ტფილისის, ქუთაისის გუბერნია და სოხუმის ოლქი, გამოტოვებული იყო მხოლოდ ის ნაწილი ახალქალაქისა და ახალციხის მაზრისა, რომელიც ბათომის დადგენილების გამო გადავიდა ოსმალეთის ხელში. გამოტოვებული იყო ახალციხის მაზრა და ზაქათალის ოლქი, რომელიც ამჟამად ჩვენს ხელში არ არის. ამის და მიხედვით უნდა მოგახსენოთ, რომ საერთო სწორი და უტყუარი სტატისტიკური ცნობა შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეთა არ არსებობს. არის აღწერა 1897 წლისა, შემდეგ არის საპოლიციო, საადმინისტრაციო ცნობები, რომელიც იბეჭდებოდა ხოლმე ჩვეულებრივ კავკასიის კალენდარში. შემდეგ არის ზოგიერთი სხვა ცნობები მკვლევართა. ეს მასალა სამანდატო კომისიას ხელში ჰქონდა.

სამანდატო კომისიამ გამოიანგარიშა საერთოდ რიცხვი, ეროვნულ უმცირესობათა საქართველოს ტერიტორიაზე, მხედველობაში მიიღო მათ შორის მხოლოდ ისინი, ვინც ირიცხებიან საქართველოს მოქალაქედ. როგორც მოგეხსენებათ, თანახმად იმ კანონისა, რომელიც მიღებული იყო ეროვნულ საბჭოს მიერ, საქართველოს მოქალაქედ ირიცხებიან ისეთი პირნი, რომელნიც მიწერილნი იყვნენ რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულთან საქართველოს ტერიტორიის 1914 წლიდან 18 ივნისამდის. ამის და მიუხედავათ გამოვიდა შემდეგი: (ციფრები დაახლოვებით არის ნაანგარიშევია):

სომეხთა რიცხვი უდრის 200,000-ზე ცოტა მეტს;
თათრების—80 ათას.
აფხაზების—60 ათას.
ოსების 45—50 ათასამდის.

რაც შეეხება რუსების რიცხვს, მათი რიცხვი, დაახლოებით, იმ სტატისტიკურ ცნობებით, რომლებიც ხელთ გვქონდა, უდრის 100 ათასს. მაგრამ კომისიამ მიიღო მხედველობაში შემდეგი: ამ ჟამად, საქართველოში, ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, რუსების მრავალი სოფელი სავსებით აიყარა და გადასახლდა საქართველოდან. შემდეგ კომისიამ მიიღო მხედველობაში ისიც, რომ რუსები მრავლად თავის თავს მაინც რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეებად სთვლიან. ამის-და მიხედვით, ეს რიცხვიც შემცირებულია ნახევრად, ასე რომ გამოანგარიშებულია რუსების რიცხვი 45—50 ათასამდე.

ქართველ ისრაელთა რიცხვი 40 ათასი.
ბერძნების 21 ათასი.
გერმანელების 8 ათასი.
დანარჩენ ებრაელების 7 ათასი.

ხმების განაწილების დროს სამანდანტო კომისია იმ აზრს დაადგა, რომ სასურველი არის არც ერთი ერი მობინადრე და მოქალაქე საქართველოს რესპუბლიკისა არ დარჩეს ისე რომ მას არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავდეს ეროვნულ საბჭოში. ამის—და მიხედვით ისეთ მცირე ერებს, როგორნიც არიან გერმანელები ან და ებრაელები, ეყოლებათ თითო თითო წარმომადგენელი, დანარჩენი ხმები ასეა განაწილებული: სომხებს 10, თათრებს 4, აფხაზებს 3, რუსებს 2, ოსებს 2, ქართველ ისრაელებს 2, ბერძნებს 1, გერმანელებს 1. დაახლოვებითი მეტრად მიღებულია 20 ათასი.

რაც შეეხება მეორე საკითხს, თუ ვისგან და რა დაწესებულებიდან უნდა იყვნენ გამოგზავნილი ეროვნულ საბჭოში ამ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი, — სამანდანტო კომისია იმ აზრს დაადგა, რომელიც წინად იყო მიღებული ეროვნულ საბჭოს მიერ,—რომ მოწვეულ იქნენ წარმომადგენელნი ეროვნულ უმცირესობათა ეროვნულ საბჭოებიდან, მაგრამ ისეთ საბჭოებიდან, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებენ და საქართველოს მოქალაქეების მიერ არიან არჩეულნი.

შესაძლებელია, რომ რომელიმე ერს ასეთი საბჭო არ ჰყავს. მაშინ ასეთმა ერმა წარმომადგენლები უნდა აირჩიოს შემდეგი წესით. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი დემოკრატიული დაწესებულება არის არჩეული: ქალაქის თვითმართველობა, ერობა, აღმასრულებელი კომიტეტი იყო წინად. აი აქ წარმოდგენილი წარმომადგენელნი აირჩევენ სხვა და სხვა წარმომადგენლებს ეროვნულ საბჭოში გამოსაგზავნად.

რა თქმა უნდა, ეჭვს გარეშეა, რომ ეს სწორი და უტყუარი წარმომადგენლობა არ იქნება. ეს თავის თავად ცხადია. ამიტომ, სამანდატო კომისიამ ამ კანონს დროებითი კანონი უწოდა. ეს დროებითი კანონია და მოქმედებს მანამდის, სანამდის არ არის მოწვეული დამფუძნებელი კრება. როდესაც დამფუძნებელ კრების არჩევნები იქნება, იქ არავითარი

ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლობას არ ექნება ალაგი, ვინაიდან ჩვენ დარწმუნებულნი ვართ და ვიცით კარგად, რომ არჩევნები იქნება 4 საფეხურიან პროპორციით. კანონპროექტი, რომელიც წარმოადგინა სამანდატო კომისიამ შემდეგია: (კითხულობს).

კანონ-პროექტი

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში.

1. მიეცეს უფლება საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენელის არჩევისა იმ ეროვნულ უმცირესობათ, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობენ და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად ირიცხებიან.

სომხებს	10
თათრებს	4
აფხაზებს	3
რუსებს	2
ოსებს	2
ქართველ ისრაელებს	2
ებრაელებს	1
ბერძნებს	1
გერმანელებს	1

2. წარმომადგენლები ეროვნულ უმცირესობათა მოწვეულ იქმნენ ამ ერების ეროვნულ საბჭოებიდან, რომელნიც არჩეულნი არიან საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებენ.

შენიშვნა. სადაც ასეთი საბჭო არ არსებობს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრის არჩევის უფლება მიეცეთ ასეთ ერის წარმომადგენლებს, რომელნიც არჩეულნი არიან სხვა და სხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში საქართველოს რესპუბლიკაში.

თავმჯდომარე. ვისა ჰსურს სიტყვა ამის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რევაზ გაბაშვილს.

რ. გაბაშვილი. (ერ.-დემ.) ბატონებო, ამ საკითხზე მსჯელობას სამანდატოს უწოდებენ და ხმები ზოგიერთ საკითხზე ისე გაიყო, რომ სამი ხმა მიმართული იყო მუხლის მიღებისათვის, და ორი ხმა წინააღმდეგი. ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია ეროვნულმა საბჭომ გაიგოს ის მოტივები, რა მოტივებითაც ჩვენ, მაგალითად მე, წინააღმდეგი ვიყავი ამ კანონპროექტის შემოტანისა.

ის მოტივები, რომელიც დღეს გაგვაცნეს, რომლებიც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მოისმინა და მთავრობის თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ეროვნების უმცირესობა უნდა წარმოდგენილი იყოს ეროვნულ საბჭოში—პრინციპიალურად ამის უარყოფა არ შეიძლება, და არც არავინ უარჰყოფს, მაგრამ ეს განცხადება ჯერ კიდევ ვერავის სავალდებულოთ ვერ გახდის, რომ ეს განცხადება სისრულეში იყოს მოყვანილი ასე საჩქაროდ. ჯერ სათანადო, ნამდვილი ცნობები არ არის, რითი უნდა იხელმძღვანელოს ეროვნულმა საბჭომ, რომ ეს კანონ-პროექტი გაიყვანოს და ეროვნულ საბჭოში მისცეს ადგილი ეროვნების უმცირესობის წარმომადგენლებს იმ ჯამით, იმ ანგარიშით, რომელიც აქ არის წარმოდგენილი. ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის, თუ რატომ უნდა იყოს ეროვნულ საბჭოში ეროვნების უმცირესობის წარმომადგენლები 26 კაცის რიცხვით, როდესაც ეს 26 კაცი, შედარებით საერთო ჯამთან, შეადგენს 23% ეროვნულ საბჭოს შემადგენლობისა. ჩვენ ჯერ არავითარი საბუთები არა გვაქვს, არავითარი ცნობები, არც მეცნიერული, არც სტატისტიკური, არც რელიგიური, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს მოსახლეობის 23 პროცენტი არის შემდგარი ეროვნულ უმცირესობათაგან; ასეთი ჯამი, როგორიც არის 23 პროცენტი, მეტად დიდია, შედარებით იმასთან, თუ რა გვარი მოსახლეობა არის.

მაგალითს მოვიყვანთ, თვით ამ კანონ-პროექტის დასაბუთებიდან. არიან იმისთანა ერები, რომელნიც თითონ, ამ კანონ-პროექტის მეტრს არ შეეფერებიან. აქ ნაგულისხმებია გერმანელები, ბერძნები და ებრაელები, რომელნიც არ შეეგუებიან ამ მეტრს, რომლითაც უნდა მოეწყოს წარმომადგენლობა. გერმანელები შეადგენენ ამ სტატისტიკურ ცნობებით რვა ათასამდინ კაცს, მაშასადამე არ ეთანასწორება იმ 20000 რიცხვის მეტრს, რომელიც აძლევს უფლებას ჰყავდეს აქ წარმომადგენელი. მართალია, არის მოსაზრება მეორე, რომ არც ერთი უმცირესი ერი არ უნდა შეადგენდეს ისეთს გამონაკლისს, რომ არ ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, მაგრამ, რატომ უნდა მივცეთ ხმა იმ უმცირესობას, რომელიც აღწევს 8000 კაცს. შესაძლოა აქ მოიპოვებოდეს ერთი ინგლისელი, ერთი ფრანგი, იმათაც უნდა მივცეთ ხმა? არავითარი პრინციპიალური საზღვარი არ არის იმისი, რატომ უნდა მიეცეს ამდენ რიცხოვან უმცირესობას ხმა, და არავითარი საბუთიც არა გვაქვს. ასეთივე მდგომარეობაში არიან ებრაელები, არ ვიცი რითი ხელმძღვანელობს კანონ-პროექტის შემდგენელი, როდესაც ჰყოფს ქართველ ებრაელს და და სხვა ებრაელს. თუ იმითი მარტო, რომ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, მარტო ენა არ არის საბუთი, რომ აქაური ებრაელები და სხვა ებრაელები გაყოფილნი იყვნენ; იმიტომ რომ სარწმუნოებით ერთნი და იგივენი არიან ამისდა მიუხედავათ ამ ებრაელებს ეძლევათ მაინც ერთი ხმა. ყველა ამ მოსაზრებით თუ ვიხელმძღვანელეთ, ისეთი სტატისტიკა, ისეთი ცნობები, რომელიც წინ უძღვის კანონ-პროექტს, არ არის სათანადოთ გაშუქებული, მაგრამ, ამ მეტრის გარდა არის ერთი რამ, თითონ ის უმცირესობა, რომელიც გამოცხადებულია შეადგენს 20000, მართალია შეადგენს, მაგრამ ზოგიერთი ეროვნობა ამ 20000 მეტი არიან, მაგრამ 40000 ნაკლები არიან, მაგალითათ ბერძნები 22000 არიან. ამისდამიუხედავათ იმათ ეძლევათ 2 ხმა, თუმცა ისინი პირველ ხარისხს სწვდებიან, მაგრამ მეორე ხარისხს კი აღარა. ისეთი ეროვნება, რომელიც ამ უმცირესობაში შეადგენს უმრავლესობას, როგორც სომხები, ნათქვამია 20000 ამათ ეკუთვნით 10 კანდიდატი, მაგრამ ეს ცნობა სრულიად სავარაუდო არის. თითონ კომისიაში იყო მოყვანილი ის ცნობები, რომ ერთ ჩვენ სწავლულს, თუ მეცნიერს, თუ როგორც გინდათ დაარქვით, ბატონ კაკაბაძეს და ინგოროყვას და სხვ. და თითონ სომხებს სულ სხვადასხვანაირათ აქვთ ნაანგარიშევი. ასეთი საწინააღმდეგო ცნობებია, რომ არავითარი საბუთი არა გვაქვს რამ სტატისტიკური ცნობები და ჯამები ისეთ ახალგაზდა მესვეურებისა, როგორნიც არიან კაკაბაძე და ინგოროყვა,—გამოვიყენოთ რაიმე საბოლოო დამტკიცებულ ცნობებად—იმიტომ, რომ ეს მხარე არ არის სათანადოდ შემუშავებული.

როცა ნათელი იქნება და საბოლოოდ გამოირკვევა ამ სტატისტიკურ ცნობებით. ის პროპორცია, რომლითაც შედიან ეროვნული უმცირესობანი ჩვენს სახელმწიფოში, მაშინ გავიგებთ შეეფერება თუ არა მათი ჯამი იმ 23 პროცენტს, რომლითაც უნდა იყვნენ წარმოდგენილნი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი ეროვნულ საბჭოში.

რადგან ჯერ ეს ჯამი გამოურკვეველია, და ზედმიწევნით ვერ გამოვიანგარიშეთ, ამისათვის კომისიას უნდა ჰქონოდა სათანადო დრო, რომ ეს ცნობები ცოტად თუ ბევრად შეემუშავებინა, რომ იმის და მიხედვით წამოეყენებინა კანდიდატთა რიცხვი.

მაგრამ გარდა იმისა, რომ ცნობები ჯერ კიდევ დაუმუშავებელია, არსებობს კიდევ სხვა მოსაზრებაც. ამ კანონ-პროექტში არის ასეთი მუხლი, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში უნდა იყვნენ ეროვნულ-უმცირესობანი დანიშნული, ან ამორჩეულნი ამ ეროვნულ უმცირესობათა ეროვნულ საბჭოებიდან. ჩვენ არ ვიცით ამ კანონ-პროექტის შემდგენელნი, ამ კანონ-პროექტის ავტორნი რითი ხელმძღვანელობდნენ. რატომ ამოირჩიეს ასეთი ორგანო ამ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელების ამოსარჩევად. თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში რომ ფაქტიურად, ან იურიდიულათ იმ განცხადებასა აქვს ძალა, რომელიც იყო წარმოდგენილი ამ კათედრიდან, როდესაც ჩვენმა ფრაქციამ შემოიტანა შეკითხვა—ოსების ეროვნული საბჭო არის თუ არა მიღებული ისეთ საბჭოდ, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფუნქციები ერისაგან დაკისრებული—აქ იყო ოფიციალურად განცხადებული, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყოველივე კავშირს აქვს უფლება არსებობისა. ამიტომ ოსების ეროვნული საბჭო ცნობილია როგორც კავშირი. თუ მივიღებთ მხედველობაში ასეთ განსაზღვრას, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეროვნულ უმცირესობის საბჭო წარმოადგენს ისეთივე ორგანოს, როგორიც არის საზოგადოთ კავშირი. მაგრამ თუ ფაქტიურად მივიღებთ მხედველობაში იმ მდგომარეობას, რომელიც არის, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მაშინ, როდესაც რუსეთის ეროვნული საბჭო დღეს უკვე ცნობილია, როგორც წარმომადგენელი რუსეთის სახელმწიფოსი და რომელსაც თითქმის საერთაშორისო უფლება აქვს, თითქმის კი არა, პირდაპირ საერთაშორისო უფლება აქვს მინიჭებული, როდესაც ოსების ეროვნული საბჭო წარმოადგენს არა მარტო კულტურულ ორგანოს, არამედ ნამდვილ პოლიტიკურ ორგანიზაციის როლს კისრულობს, რომელიც ულტიმატუმებს უგზავნის ჩვენს მთავრობას დ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ოსების, ეროვნული საბჭო ითვისებს ასეთ ძალა-უფლებას და ერთგვარ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებელს მოლაპარაკებას აწარმოებს ჩვენ მთავრობასთან, უნდა ვიფიქროთ რომ სცდილობენ არსებობდეს ოსეთის ტერიტორიალური ავტონომია. თუ შევხედეთ სხვა ერების უმცირესობათა საბჭოებს, ჩვენ დავინახავთ, რომ იქ არიან ერთის მხრივ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, მეორე მხრივ ორგანო რომელიც ითვისებს პოლიტიკურ ფუნქციებს.

მესამე მხრივ არის სომხის ეროვნული საბჭო, რომელსაც ფაქტიურად დ იურიდიულად არავითარი პოლიტიკური ხასიათი თითქმის არა აქვს, თუმცა პირდაპირი ძალით დ პირდაპირი უფლებით, შესაძლებელია თავიანთ წევრებს, ნამეტნავად ამ ჟამად, ზოგიერთ პარტიებს დიდი პოლიტიკური გავლენა აქვთ. ეს არის მესამე ხარისხის წარმომადგენლები.

და თუ ჩვენ ავიღებთ დანარჩენ ერების წარმომადგენლებს, თუ ჩვენ ავიღებთ ბერძნებს, ებრაელებს და სხვებს, ჩვენ დავინახავთ, რომ არავითარი პოლიტიკური ფუნქციები არა აქვთ, ისეთი ძალოვანი ფუნქციები, რომ შეეძლოთ აწარმოონ პოლიტიკური მოლაპარაკება ჩვენს მთავრობასთან. ესენი წარმოადგენენ უბრალო კავშირს ან უკვე არსებულს ან და პროექტში წარმოდგენილს. ასეთ სხვა დ სხვა ჯურის საბჭოებთანა გვაქვს ჩვენ საქმე.

გარდა იმისა, რომ ასეთ სხვა და სხვა კომპეტენციის საბჭოები არიან, თითო ცალცალკე რომ გავსინჯოთ, ეს საბჭოები სრულებით შეუფერებელნი არიან ჩვენთვის. მაგალითად, რუსების საბჭო, რომელიც წარმოადგენს დიპლომატიურ ორგანოს, არც ერთ ქვეყანაში არ არსებულს, გარდა საქართველოსი, როგორი წარმომადგენილია რუსეთის. რუსეთი დღეს ფაქტიურად დავას განიცდის ჩვენს სახელმწიფოსთან. დავას განიცდის, რადგანაც რუსეთის სახელმწიფო არ სცნობს ჩვენს მთავრობას და ჩვენს წარმომადგენელს და რამდენადაც ჩვენ ვიცით, ჩვენი მთავრობა ასეთს წინადადებას აძლევს რუსეთის მთავრობას: თუ თქვენ არ სცნობთ ჩვენ წარმომადგენელს, მაშინ არც ჩვენ ვიცნობთ. თუ ჩვენ მივიღეთ კანონი, რომ რუსეთს წარმოადგენს ეროვნული საბჭო და უნდა იყოს უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლები ჩვენს საბჭოში, მეტადრე ისეთ სახელმწიფოსი, რომლის წარმომადგენელს ჩვენ არ ვცნობთ—ეს ისეთი დასკვნაა, ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლიდანაც ლოღიკური გამოსავალი არ არის. დ ეს რომ ძალად მოვახვიოთ ვისმე, ეროვნულ საბჭოს—ეს შეუძლებელია. ეს მოსაზრება, რომელიც წარმოდგენილი იყო ეროვნულ საბჭოში, უკვე ამტკიცებს, რომ ამ კანონ-პროექტის მიღება დღეს-დღეობით შეუძლებელია. იგი უნდა იყვეს იმგვარად შემუშავებული, იმ წესით, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყოველ შემთხვევაში ყველა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოებმა, რომ მათ შორის არ იყვეს არავითარი უმადურობა, არავითარი შუღლი და ჩვენ სახელმწიფოსადმი ქიშპობა. კომისია იმას ამბობს, რომ თუ ჩვენ არ მივიღებთ ამ ერების წარმომადგენლებს, მაშინ ისინი უკმაყოფილონი იქნებიან და აგიტაციას გასწევენ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაგრამ, თუ მივიღებთ უკანონობას მერე როდესაც გამოირკვევა მდგომარეობა, მაგალითად, რუსეთის საბჭოსი, შეიძლება მოგვინდეს განდევნა რუსების წარმომადგენლებისა. ხვალ შეიძლება გამოირკვეს მდგომარეობა ოსების საბჭოსი, მაშინ ჩვენ მოგვინდება განდევნა მათი დ ეს კი უფრო დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს. თუ რომელიმე თქვენგანი მეტყვის რა საშუალებით შესძლებთ გამოიწვიოთ შემდეგ ეროვნულ საბჭოდან რომელიმე წევრი, როდესაც თქვენ მისცემთ 2 ხმას რუსებს და 2 ხმას ოსებს. შესაძლებელია, რომ შემდეგში ნამდვილი მეცნიერული სტატისტიკური ცნობები დაგვიმტკიცებენ, რომ ოსები არაინ მეტნი ან ნაკლებნი. თქვენ კი ხელმძღვანელობთ ასეთი დაუსაბუთებელი ციფირებით. შემდეგი მოსაზრება, რომელიც მოგვყავს ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ ასეთია, რომ მოქალაქეობის კანონ-პროექტი არ საზღვრავს თვით მოქალაქის ცნებას. კანონ-პროექტი დღეს დღეობით სისრულეში მოყვანილი არ არის იმდენად, რომ ჩვენ ვიცოდეთ ვინ არის ჩვენი მოქალაქე და ვინ არა. მართალია თავმჯდომარე გვიმტკიცებდა, რომ ვინც 1914 წ. მკათათვემდე მიწერილია რომელიმე ადმინისტრატიულ ნაწილს ჩვენ მათ ავტომატიურათ ვცნობთ ჩვენს მოქალაქედ, ჩვენს ქვეშევრდომად. მაგრამ საკმარისი არ გახლავთ ეს მოსაზრება. შესაძლებელია ამისთანა ფაქტები და ამას თქვენ ყოველდღე ხედავთ,—ისინი არ სცნობენ თქვენს სახელმწიფოს. მაშინ, როდესაც ისინი მიეწერნენ, საქართველო არ არსებობდა. იმ დღიდან კი, როდესაც საქართველო არსებობს, ჩვენ ვხედავთ მაგალითებს დუშეთში, ბელი-კლიუჩში და სხვა ადგილებში. ჩვენ ვხედავთ, რომ იმათ ჩვენი ქვეშევრდომობა მიიღეს ავტომატიურად და ფაქტიურად არა მარტო არ იზიარებენ მას, არამედ სთვლიან თავის თავს უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებად და უფრო მეტი—როგორც მტერი სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომელნიც ებრძვიან ჩვენს დამოუკიდებლობას. თუ ეს მივიღეთ მხედველობაში, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ უცხო სახელმწიფოს წარმოდგენილი იყოს ჩვენ ეროვნულ საბჭოში. შეიძლება დღეს ან ხვალ რომელიმე წევრმა საბჭოისამ გამოაცხადოს თავისი თავი სომხეთის რესპუბლიკის ან რუსეთის, ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომად. დღეს იყო საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლედ მხოლოდ ავტომატიურად, იმიტომ, რომ ისტორიამ შემოფარგლა ეს საზღვრები საქართველოსი და სწორედ ამიტომ რომ საქართველოში მოექცა აწარმოებს ბრძოლას საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, არა მარტო პარლამენტის გარედ, როგორც აქამდის აწარმოებდა, არამედ პარლამენტის შიგნიდანაც. შეიძლება იგი უნდა იყოს მცოდნე ყველა იმ საქმეებისა, მცოდნე ყველა იმ საიდუმლოებისა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს საქართველოს რესპუბლიკას გარეშე სახელმწიფოებთან.

რომ ეს მოქალაქეები არ სთვლიან თავის თავს საქართველოს რესპუილიკის მოქალაქედ, მე უკვე დაგისახელეთ ამისთანა მოქალაქენი. მეორეც ისა, რომ ჯერ-ჯერობით არსად ყოფილა, რომ ვისმეს ან რეგისტრაცია მოეხდინოს ან სურვილი გამოეთქვას, რომ ისინი თავისთავს სთვლიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ. ჩვენ გვეუბნებიან, კომისია გვეუბნება, თუ ისინი არ სთვლიან, მაშინ მივიღებთ სხვა და სხვა ზომებსაო. მაგალითად, ჩვენ ვიწვევთ ჯარს, თუ არ გამოცხადდნენ და სთქვეს, რომ მოქალაქენი არ არიან, ჩვენ მაშინ გავდევნითო. ასეთი წესი რომ მივიღოთ, რომ მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოს აქვს რაიმე საქმე მოქალაქესთან, გამოაშკარავდა, იმის ვინაობა, ეს წესი შეუფერებელია. ყოველი სახელმწიფოს მოქალაქე უნდა იყოს მოქალაქედ იმდენად კი არა, რამდენად სახელმწიფო მივა მასთან და ჯარში გამოიწვევს, არამედ ის უნდა იყოს მოქალაქედ ყველა დროს, მთელი თავისი არსებით ყოველ კანონს, თუნდაც უკანონობას უნდა ემორჩილებოდეს. (ხმა: ტრიბუნალსაც?) მაგალითად, როგორც ტრიბუნალებსაც კი.

მოგეხსენებათ, რომ ის მოქალაქეობის კანონ-პროექტი ჯერ არ არის საკმაოდ განმტკიცებული. ჯერ არ ვიცით ჯამი ჩვენი მოქალაქეებისა; უაზრობაა ხმები მივცეთ ნაწილს მოქალაქეებისას, რომელნიც სხვა უცხო სახელმწიფოს წარმოადგენენ. ასე არც ერთი სახელმწიფო არ არსებობს, და, რასაკვირველია, არც ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო უნდა არსებობდეს.

ერთი მოსაზრება იმის შესახებ, რომ კანონ-პროექტი ხელ-მეორედ უნდა დაბრუნებული იყოს და უნდა მეორედ გადისინჯოს, სხვათა შორის ისიც არის, რომ, როდესაც ვამტკიცებთ კანონ-პროექტს, რომლითაც უნდა იყოს წარმომადგენლობა ამა თუ იმ ერის,—ამ კანონ-პროექტში არაფერია ნათქვამი, იმის შესახებ თუ რითი ვიკვლევთ, ჩვენ თუ ისანი ეკუთვნიან ამა თუ იმ ერს; ტომით? რელიგიით? თუ რაიმე სხვა საშუალება გვაქვს გამოვძებნოთ, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს ესა თუ ის პირი ამ ერის წარმომადგენლად.

ასეთი პროექტის წინააღმდეგ ჩვენ ისიცა გვაქვს სათქმელი, რომ ეროვნულ საბჭოში უკვე არიან წარმომადგენლები ამ ეროვნული უმცირესობისა. ჩვენ საბჭოში არიან მაგალითად ოსები, არიან სომხები. ეს სომხები, ეს ოსები და სხვა ერების წარმომადგენლები, რომელნიც უკვე დღეს არიან ეროვნულ საბჭოში ისინი რას წარმოადგენენ? ისინი იქნებიან წარმომადგენლები იმ ერების უმცირესობის, რომელთაც ეს კანონ-პროექტი აძლევს ამ უფლებას, თუ ისინი არიან კიდევ სხვა რამ. უკიდურეს შემთხვევაში, თუ მივიღეთ ისეთი წარმომადგენლობა, რომ სომხებს ეყოლებათ 10 კაცი, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ მათ ორი წარმომადგენელი უკვე ჰყავთ აქა, მაშინ ორი წარმომადგენელი უნდა მოაკლოთ ათს, დარჩება 8. თუ ამას ასე არ მივიღებთ, მაშინ სომხებს ეყოლებათ ეროვნულ საბჭოში 12 წარმომადგენელი. ეს რასაკვირველია, არ შეეფერება არც იმ შემცდარ სტატისტიკას, არ შეეფერება ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებს, და არაფრით არ გამართლდება, იმიტომ, რომ თუ იმათ ეკუთვნით 10 ხმა, უნდა ჰყავდეთ 10 წარმომადგენელი, თუ იმათ ეკუთვნით 12, მაშინ კანონ-პროექტში უნდა ვთქვათ, რომ სომხების უმცირესობას ეკუთვნით 12. კომისიამ არ მიიღო ესეთი შეხედულობა. მაგრამ სწორედ იმიტომ მინდა ეროვნულმა საბჭომ გაითვალისწინოს, თუ ვინიცობაა მიიღო 10 წარმომადგენელი, მაშინ ყოველ შემთხვევაში უნდა იყვნენ ჩარიცხულნი ის პირებიც, რომელნიც უკვე არიან საბჭოში. მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ სომხების წარმომადგენლებს იმიტომ, რომ ამ ერისა ათი კაცია ნავარაუდევი. აქ არის 2 წარმომადგენელი ამ ერისა და ჩვენ ეროვნულ საბჭოს ერთი მეათედი საზოგადო წარმომადგენლობისა ეყოლებათ სომხებს, იმ ერს, არა, მეტს ვიტყვი, იმ პარტიას დაშნაკელებისას, რომელიც აშკარად, შეუპოვრად, ახლილად ებრძვის საქართველოს სახელმწიფოს პრესაში

თუ კრებაზედ, აშკარად აწარმოებს საწინააღმდეგო პოლიტიკას. ამათ ეყოლებათ თავისი წარმომადგენლობა ასეთი დიდი რიცხვით.

ასეთივე მდგომარეობაში არის ოსობაც. ოსებსაც უკვე ჰყავთ ორი წარმომადგენელი, და წარმოიდგინეთ ეს ორი, ბატონებო, არიან არა მარტო როგორც ამ ერის წარმომადგენელნი, არამედ იმათ უკვე განახორციელეს ფაქტიურად ის, რაც შემოტანილია კანონ-პროექტის ერთ მუხლში, რადგანაც ისინი აქ არიან ოსების ეროვნულ საბჭოს წევრნი, მაშასადამე ჯერ კიდევ ფაქტიურად კანონი არ შემოგვიღია და მაგათ უკვე დააკანონეს, რომ ოსების ეროვნულ საბჭოს წევრნი უნდა იყვნენ წევრნი ჩვენი ეროვნულ საბჭოსი. ამას ამართლებდნენ იმით, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭო, ჯერ არ არსებობდა, იგი იყო კულტურული დაწესებულება, თუ არ ვიცი რაღაც ბიურო, რომელიც ფრეილინის ქუჩაზე იყო, მაშინ იყვნენ ამორჩეულნიო. ეს სრულებით არაფერი საბუთია, რადგანაც დღეს სულ სხვა საკითხი სდგას, დღეს სდგას საკითხი რა წესი არჩევისა უნდა იყოს ჩვენს უმაღლეს დაწესებულებაში; ბიუროში, კულტურულ დაწესებულებაში არჩევის წესი სრულიად სხვა იყო. როდესაც იქ ირჩევდნენ, მაშინ ოსებზე არავის გაუგონია, რომ ოსების საბჭოს წარმომადგენელები არიან, არც თქმულა, რომ ოსებს უნდათ შექმნა საქართველოში თავიანთი ოსეთისა. ისინი შემოდიოდნენ ეროვნულ საბჭოში იმიტომ, რომ ისინი იყვნენ არჩეულნი, ქართველებისაგან, ან უკეთ რომ ვთქვათ ისეთ მოქალაქეებისაგან, რომელნიც განიცდიან საერთო წესსა და ექვემდებარებიან საერთო კანონებს, მაგრამ როდესაც საკითხი ისეა, რომ არ ვიცით და ამის გამოსაცნობად საბუთი არაფერი არა გვაქვს, რომ ოსები არ მოითხოვენ ტერიტორიულ ავტონომიას და განსაზღვრავენ თავის მოქალაქობრივ ძირითად უფლებათ, სხვანაირად ვიდრე ჩვენი კანონი მოითხოვს, ეს სრულიად დაარღვევს არა მარტო ჩვენ დემოკრატიულ კანონებს, რომელნიც ხშირად არა მარტო დარღვეულნი არიან, არამედ არ არიან მოყვანილნი სისტემაში. და ამის გარდა ეს ოსების წარმომადგენლობა იქნება მეტად გადიდებული ამ დაწესებულებაში. იმ შემცდარ სტატისტიკის ცნობით, რომელიც აქ არის მოყვანილი, ოსებს ეყოლებათ 4 წარმომადგენელი, მაშინ ეროვნულ უმცირესობანი უკეთ იქნებიან წარმოდგენილნი.—ჩვენ ამისთანა მეტრით თუ ვიარეთ, გამოირკვევა, რომ საქართველოს მოქალაქენი, როგორც განსაზღვრულ უფლებით აღჭურვილნი თავის ტერიტორიაზე, უფრო ნაკლები უფრო შემცირებული უფლებით სარგებლობდნენ ვიდრე უმცირესობანი. ჩვენი კანონი აკანონებს ისეთ წესს, რომელიც არ არსებობს არსად. მთელ ქვეყნიერებაზე ასეთი წესია, რომ სხვა და სხვა ერების უმცირესობას, კანონით, თუ უკანონოთ, შეკვეცილი აქვს უფლება. შეიძლება ჩავაგდოთ ჩვენი მოქალაქენი იმ მდგომარეობაში, თუ ასეთი წესი მივიღეთ, ჩვენ საკუთარ სახელმწიფოს მიმართ, რომ მან სხვის მოქალაქეებს მეტი უფლება მისცეს, ვიდრე თავის მოქალაქეებს; და მართალია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში არა მარტო შემთხვევით ხდება ის რაც არსად დედამიწის ზურგზე, არამედ ხდება ეს სისტემატიურადაც. ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა ჰუმანიტარულ მოსაზრებით და სხვა მოსაზრებით, მეტ ანგარიშს და ყოველთვისინ უპირატესობას აძლევს გარეშე პირებს ვიდრე ჩვენ მოქალაქეებს.

ამ მოსაზრებით დასკვნა უნდა მოგახსენოთ, რომ კანონ-პროექტი სათანადოდ არ არის შემუშავებული სათანადოდ არ არის შეფარდებული ცხოვრების პირობებთან, რომელსაც განვიცდით, და მე წინადადება შემომაქვს: კანონ-პროექტი გადაეცეს კომისიას, რომ გადაისინჯოს და შესწორებული იყოს.

ქალაქის საბჭო.

ქალაქის საბჭოს სხდომის დასაწყისამდე საბჭოს ფრაქციებს თათბირი ჰქონდათ ქალაქის გამგეობის გადადგომის შესახებ.

$8^1/_2$ საათზე კრება გაიხსნა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის ბ-ნ გ. ს. იაგჯიანის მოხსენებით ქალაქის გამგეობის გადადგომის შესახებ. აგრეთვე წაიკითხეს გადადგომის მოტივები, ცალკე განცხადება ქალაქის მოურავისა ბ-ნ ნ. ელიავასი, მის ამხანაგის გ. გ. კონიევისა და გამგეობის წევრთა ი. ი. ბესელიძისა, ი. ლ. ჩერქეზიშვილისა და ს. გ. ფირუმოვისა. ბ-ნმა იაგჯიანმა საბჭოს მოახსენა, რომ ეს განცხადება საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო თუ არა, მაშინვე ყველა ფრაქციას შეატყობინა. საბჭოს ფრაქციებისაგან მარტო ერთი პასუხი მოსულია პრეზიდიუმს ნაციონალ-დემოკრატიის ფრაქციის წარმომადგენელ ბ-ნ პ. გოთუასაგან. ამ ვრცელ პასუხში ეს ფრაქცია იწერება, რომ საქართველოს თავისუფლების გამოცხადების შემდეგ ზოგიერთი ხმოსნები ჩვენ ქვეყნის დამოუკიდებლობას მტრულად ექცევიან. ეს ის ჯგუფია, რომელიც მართალია, არჩეულ იქნენ საერთო არჩევნებით, მაგრამ მათი ამომრჩევლები კი ამ ჟამად აქ არ იმყოფებიანო. ნ. დ. აზრით საბჭომ არამც თუ უნდა მიიღოს გამგეობის უარი, არამედ თვით საბჭომაც უნდა დაითხოვოს თავის თავი, როგორც ეს მოხდა ამიერ-კავკასიის სეიმში, და ახალი არჩევნები უნდა იყოს დანიშნულიო. ამას გარდა ბ-ნმა თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა, რომ მან მიიღო ხმოსან ე. მ. მახვილაძისაგან (ს.-დ.) წინადადება, რომ საბჭოს მიერ მიღებული რეზოლიუცია განსაკუთრებულ რაზმის შესახებ გადაშინჯულ იყოს. ე. მ. მახვილაძის წინადადებას ხმოსნებმა ბ-ნ აუშტროვმა და ქარცივაძემ მხარი დაუჭირეს და საბჭომ ამ წინადადების განხილვა მეორე საკითხათ დანიშნა.

დიდი კამათი გამოიწვია ქალაქის გაგეობის გადადგომის საკითხმა.

პირველი სიტყვა აიღო ქალაქის მოურავის ამხანაგმა ა. ა. კალიუჟნიმ (ს. რ.), რომელმაც აღწერა ერთეულ და არა ფრაქციების მიხედულობით მუშაობა გამგეობის წევრებისა, სანამ არ გამოცხადდა კანონი სპეკულიაციის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმთევ და განსაკუთრებული რაზმის დაარსების შესახებ. აქ პირველათ ყველა წევრი გამგეობისა ამ რაზმის წინააღმდეგი ვიყავით, როგორც საზიზღარ დაწესებულებისა. ყოფილ ჟანდარმების ტიპისა, მხოლოდ ახალი კანონის გამოცემის შემდეგ სპეკულიაციის ბრძოლის შესახებ გამგეობის ერთმა ნაწილმა, მათ შორის ქალაქის მოურავმაც, ამ საგანზე აზრი შეიცვალეს. აქ უკვე დაირღვა ჩვენი ერთობრივი მუშაობა. ჩვენ არ დავყაბულდებით რაზმის ამგვარ შედგენას, რომელიც, როგორც ჟანდარმები სთხრიან ორმოს და ამ ორმოში თვით მთავრობაც ბოლოს ჩავარდება.

ქალაქის მოურავი ბ-ნი ნ. ელიავა ამ საკითხს სახელწიფო თვალსაზრისით უყურებს, თუმცა ეს რაზმი მას არც ეხლა მოსწონს.

ხმ. გლოტოვი (ს.-რ.) ამბობს, რომ ქალაქის გამგეობისადმი უნდობლობის გამოცხადება მხედველობაში არა ჰქონია ს.-რ. ფრაქციას და შეიძლება მიღებულ რეზოლიუციაში მოვაქციოთ ნდობის გამოცხადება ქალაქის გამგეობისადმიო.

ხმ. აუშტოროვი (ს.-დ.) ამბობს, რომ ქალაქის გამგეობის გადადგომა მიღებით უნდა მივიღოთ, თორემ საქმე მთავრობასთან კონფლიქტამდე მივაო.

ხმ. ამირალოვი (კადეტი) ამბობს, რომ ამ ფრაქციამ კენჭი მისცა ესერების რეზოლიუციას იმიტომ კი არა, რომ ისინი სპეკულიაციასთან ბრძოლის წინააღმდეგი არიან, არამედ იმიტომ, რომ განსაკუთრებული რაზმი სწორ პრინციპზე არ არის დაარსებული. ჩვენ მივიღეთ ესერების რეზოლიუცია არა იმიტომ, რომ გამგეობა არ დაემორჩილოს მთავრობას, არამედ იმიტომ, რომ ქალაქის საბჭომ იშუამდგომლოს საერთო საბჭოს წინაშე ამ კანონის შეცვლის გამოო.

ხმ. გოთუა (ნაც. დემ.) იმ აზრისაა, რომ მიღებული რეზოლიუცია უნდა გაუქმდეს და ქალაქის საბჭომ დათხოვნილათ გამოაცხადოს თავი, რათა მკვიდრ დემოკრატიას შეძლება მიეცეს საბჭოში თავის წარმომადგენელნი გაგზავნოსო.

ხმ. იაგჯიანი (დაშნაკცაკანი) ამბობს, რომ სომხების დემოკრატია ძველოს ძველად ძმურად სცხოვრობს ქართველ დემოკრატიასთან და საეჭვოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ვინმე მტრულად ექცეოდეს. ამის მაგალითებს იგი არ ჰხედავს.

ხმ. გრუზენბერგი (ებრ.) ამ საკითხის იურიდიულ ანალიზის შემდეგ, ამბობს, რომ საბჭოს დადგენილება ეხლავე უნდა გადავათვალიეროთ.

ხმ. ბარათაშვილი (ს.-ფედ.) ქალაქის გამგეობის მოქცევას სწორეთა სთვლის და ამბობს, რომ მის გადადგომის განცხადება მიღებულ უნდა იქნესო.

ხმ. თუმანოვის (ს.-რ.) აზრით, ეს რაზმი კი არ ებრძვის სპეკულიაციას, არამედ მას შველისო. ეს სისტემა პროვოკაციის სისტემააო.

ბ-ნ ნ. რამიშვილი (შინაგან საქმეთა მინისტრი) უპასუხებს იმ ორატორებს, რომელნიც ჰკიცხავენ რაზმს და დაწერილ დოკუმენტებით ხელში აცნობს საბჭოს ამ დროებით (6 თვით) დაარსებულის რაზმის მოღვაწეობას.

ხმ. გელეიშვილს წინადადება შეაქვს კამათის მოსპობისა.

ხმ. ხანდამოვი (კადეტი) წინააღმდეგია ამ წინადადებისა.

ხმ. თუმანოვს წინადადაბა შეაქვს გამგეობის გადადგომას კენჭი უყარონ მის შემდეგ, როცა განხილული იქნება მეორე კითხვა—გადაშინჯვა საბჭოს დადგენილებისა.

ხმ. არსენიძე და ელიავა იმ აზრზე დგანან, რომ გადადგომის საკითხს კენჭი არ უნდა ეყაროს, რადგანაც გამგეობა გადადგომილია იმ წუთიდან, როდესაც საბჭოს ამ საგანზე მოხსენდა.

საბჭომ მიიღო ესდეკეის წინადადება გადადგომის შეწყნარების 51 ხმით 26 ხმის წინააღმდეგ. 6 თავი შეიკავა.

ამის შემდეგ მეორე საკითხის განხილვას შეუდგნენ.

ხმ. ჭიაბერიშვილი და აუშტროვი ამბობენ, რომ ამ საკითხზე კამათის გახსნა მეტია, რადგანაც ბევრი ლაპარაკი იყო განსაკუთრებულ რაზმზე პირველ საკითხის განხილვის დროს.

ამ წინადადებას შეუერთდენ ბ-ნი გრუზენბერგი და სხვ., რამაც გამოიწვია კადეტთა ფრაქციის პროტესტი და ამ ფრაქციამ დარბაზს თავი დაანება და გავიდა ყველა ამ ფრაქციის წევრი.

შემდეგ კენჭი უყარეს შემოტანილ რეზოლიციებს.

გავიდა სოციალ-დემოკრატების რეზოლიუცია, რომელიც ჩვენ უკვე დავბეჭდეთ გუშინწინდელ ნომერში. გ. პ.

დეპეშები.

ომი.

ბერლინი, ოკტ 9. კამბრე და სენკანტენს შუა ცხარე ბრძოლაა. ჩრდილოეთ ფრთიდან მტრის ძლიერი შემოტევა შევაჩერეთ. საღამოთ მათ განაახლეს იერიშები, მაგრამ დავამარცხეთ. სამხრეთ ფრთაზე მათ მცირე ტერიტორია გამოგვგლიჯეს. მანტ-ბრეხერის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა უკუაგდო მტრის ყველა იერიში. ფრონტის ცენტრში გარღვევის გამო, რომელიც ემუქრება ფრთიდან, ისინი საღამოს იძულებული გახდენ ფრენსუა-ლეგრანლის დასავლეთ ფერდოზე თავისი ფრთა გადაეტანათ. სიუპსა და ენიდან დასავლეთით მდებარე ადგილს შუა ძლიერი ძალებით ამერიკელებმა და ფრანგებმა ხელ-ახლა იერიშები მოიტანეს და ცდილობდენ გაერღვიათ ჩვენი ფრონტი. სენ-ეტიენის ორივე მხრიდან მართლაც შემოიჭრენ ჩვენს ხაზზე, მაგრამ უკანვე გავრეკეთ. დანარჩენ ფრონტზე მტრის იერიშები უშედეგოთ დასრულდა. ნაწილობრივი შემოტევა მდ. ენთან და უირის ველზე მოვიგერეთ. მაასის აღმოსავლეთ ნაპირზე არტილერიის შემდეგ მტერმა შემოგვიტია ბრაბანტოს და ორნს შუა. მტერი შემოიჭრა კუზენფუას ტყეში და აქ გავაჩერეთ. დანარჩენ ფრონტზე იერიშები მოვიგერეთ.

ბერლინი, ოკტ. 9. საღამოს ცნობა. კამბრე და სენ-კანტენის შუა ჩვენ გადმოვედით უკანა პოზიციებზე. კამბრი დავსტოვეთ. შამპანში ნაწილობრივი ბრძოლაა. მაასის ორივე ნაპირზე მტრის შემოტევა სწარმოებს.

უცხოეთი.

რეისსტაგის სხდომა და კანცლერის სიტყვა.

შაბათს, ოქტომბრის 5-ს გაიხსნა რეიხსტაგის სხდომა, რომელზედაც გერმანიის პირველი პარლამენტარული მთავრობა კანცლერ მაქს ბადენელის ხელმძღვანელობით სახალხო კრებას წარუდგა და რომელზედაც კანცლერმა განმარტა თავისი პროგრამა. იგი დამყარებულია ყველა სახელმწიფოთათვის ზავზე და ერების ლიგაზე. სხდომაში მონაწილეობდენ ყველა საიმპერიო დაწესებულებათა წარმომადგენლები, კავშირის საბჭოს წევრები, ნეიტრალურ სახელმწიფოთა დიპლომატები და პრესის წარმომადგენლები.

პოლიტიკურ მომენტის სიდიადემ დროებით უარყონ პარტიების და კერძო პირთა ინტერესები,

„იმპერატორის დეკრეტით, ამბობს კანცლერი, გერმანიის იმპერიამ დიდი ცვლილება განიცადა თავის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მე მოწვეული ვარ გრაფ ჰერტლინგის მაგიერ, რომელსაც სახელმწიფოში დიდი სახელი ჰქონდა დამსახურებული. ეხლა შემოღებულ მმართველობის მეთოდი თხოულობს რომ მე დაუყონებლივ წარმოუდგინო რეიხსტაგს მთავარი პრინციპები, რომლებითაც მე ვიხელმძღვანელებ-ჩემს საპასუხისმგებლო მოქმედებაში. ეს პრინციპები შემუშავებულია ჩემ მიერ ამ თანამდებობის მიღების წინ ამ პატივცემულ პალატის პარტიის ლიდერებთან ერთად და მოკავშირე სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ეს პრინციპები შეიცავენ არა მარტო ჩემს პოლიტიკურ რწმენას, არამედ ხალხის წარმომადგენლების დიდი უმრავლესობის, ე, ი. გერმანელი ხალხის წარმომადგენლების დიდი უმრავლესობის ნებას. ამ ხალხმა მოიწვია რეიხსტაგი თანასწორი, ფარული და საყოველთაო ხმის მიცემით... ჩემი გადაწყვეტილება პროგრამის წარმოდგენის შესახებ შეამსუბუქა იმ გარემოებამ, რომ მუშების ავტორიტეტული წარმომადგენლები დაინიშნენ იმპერიაში მაღალ თანამდებობაზე. მე ამაში იმის გარანტიას ვხედავ, რომ ახალ მთავრობას ხალხი მხარს დაუჭერს. მთავრობის მთელი მუშაობა, თუ მას ხალხი მხარს არ დაუჭერს, დაიღუპება.

ამიტომ მე ვლაპარაკობ აქ არა მარტო ჩემი და ჩემი ამხანაგების სახელით, არამედ მთელი გერმანელი ხალხის სახელით. პროგრამა, რომლითაც მე ვხელმძღვანელობ შეიცავს ყოფილი მთავრობის მიერ პაპის ნოტაზე 1917 წ. ივლ. 19 პასუხის მიცემას. ბელგიის საკითხი ბელგიის სრული აღდგენით უნდა გადაწყდეს. განსაკუთრებით მისი დამოუკიდებლობის და ტერიტიტორიის დაცვით.

უკვე ჩამოგდებულმა ზავმა ხელი არ უნდა შეუშალოს საერთო ზავის შეკვრას, იმ საფუძველზე,რომელიც აღნიშნულია პროგრამაში. ის განსაკუთრებით მიისწრაფის შექმნას ხალხის წარმომადგენლობა ბალტიის ზღვის ოლქებში, ლიტვაში, და პოლონეთში. ეს გეგმა რომ სისრულეში მოვიყვანოთ ჩვენ დაუყონებლივ შემოვიღებთ აღნიშნულ ოლქებში სამოქალაქო მმართველობას. ამ ოლქებმა თავისუფლათ უნდა მოაწყონ თავისი თვითმართველობა და თავისი დამოკიდებულება მეზობელ სახელმწიფოებთან.

რეიხსტაგი და პრესა.

გერმანულმა ნოტამ ვილსონის მიმართ და კანცლერის სიტყვამ რეიხსტაგის 4 ოქტომბრის სხდომაზე დიდი გამოძახილი ჰპოვა პრესაში.

ხელმძღვანელი კონსერვატიული გაზეთი „კრეიც-ცაიტუნგ“ი სწერს: მას შემდეგ, რაც გადაიდგა ნაბიჯები ზავისკენ, ყველას პატრიოტულ მოვალეობას შეადგენს, რომ გააკეთოს ყველაფერი, რაც უზრუნველყოფსა ამ ნაბიჯებს. კონსერვატორებიც მიისწრაფიან საპატიო ზავისკენ. იმავე დროს გაზეთი „ბერლინერ ლოკალანცეიგერ“, რომელიც წარმოადგენს მარჯვენა ფრთას, სწერს: „კანცლერის სიტყვიდან არავის არ შეუძლიან დასკვნას ის ფაქტი, რომ ჩვენ მივიღებთ მოწინააღმდეგის მშვიდობიან პროგრამას. გერმანიის ხალხი მზათ არის დაიწყოს საშვიდობო მოლაპარაკება ვილსონის მიერ წარმოდგენილ 8 იანვრის 1918 წ. 14 მუხლიან პროგრამის საფუძველზე. 5 ოქტომბრის ნოტით პრეზიდენტ ვილსონს დააწვა დიდი პასუხისმგებლობა. ახლა მასზეა დამოკიდებული გერმანიის ერების მიმართ იქნება თუ არა სამართლიანი ზავი ან და უსამართლო ზავისათვის კიდევ მსხვერპლათ შეიწირება ხალხი და სახელმწიფოები კი დაღუპვისაკენ გაექანება.

(დასასრული არ არის).

„ალგებეინე ხანდელბლატი“ ათავსებს წერილს კანცლერის სიტყვის შესახებ. ისტორიული მნიშვნელობის კვირა გავიარეთ. მხოლოდ ბოროტ ნებას შეუძლიან იმის არ დაფასება, რაც ხდება ეხლა გერმანიაში, სადაც ადგილი აქვს პარლამენტარულ მთავრობას და სადაც სახელმწიფო-მმართველობას სათავეში უდგას ხალხის ნება მოკლეხანში ბევრი რამ შეიცვალა გერმანიაში, შეიცვალა არა ფრონტის გავლენით, არამედ ერების მოთხოვნით, რომელიც დარწმუნდენ, რომ ის შოვინისტური და მილიტარისტულიშეხედულებები, რომელიც ამდეხანს ხელმძღვანელობდენ, როგორც გარეშე, აგრეთვე შინაურ პოლიტიკას — გაუგებრობა იყო.

აფეთქება.

პარასკევს, დილით ყუმბარების საწყობი აფეთქდა. ახლო მიდამოები გაცალიერდა. ცეცხლი თან და თან ძლიერდება 60,000 მცხოვრები გავიდა მაზრიდან.

აუცილებელი კაპიტულიაცია.

ლონდონი.' „დეილი-მეილი“ სწერს, რომ გერმანიის და ავსტრიის შესახებ ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ბულგარეთის მიმართ. თუ გერმანელი ხალხი გულწრფელია და უნდა გაიგოს ის გარანტიები, რომელსაც ჩვენ ვთხოულობთ, ეს გარანტიები ორი სიტყვით გამოითქმება: „აუცილებელი კაპიტულიაცია“.

ამერიკის პრესა ზავის შესახებ.

ამსტერდამი. „ალგემეინე-ხანდელსბლატი“ ლონდონიდან იტყობინება, რომ საზოგადო აზრი ამერიკაში ხელსაყრელი არ არის დროებით ზავის მისაღებლათ.

ტრეპოვის მოკვლა.

სტოკჰოლმი. როგორც პეტროგრადიდან იტყობინებიან, მოჰკლეს ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—ტრეპოვი.

საზავო წინადადება და ვილსონი.

ჟენევა. ცენტრალური სახელმწიფოების წინადადება დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ ირჩევა ხსენებულ სახელმწიფოების პოლიტიკურ და საფინანსო წრეებში, რადგანაც იმ შეხედულებისა არიან, რომ ვილსონს არ შეუძლიან გასცეს პასუხი, თუ თავის საკუთარ განმარტების წინააღმდეგ არ წავიდა.

ნოტების გადაცემა.

ვაშინგტონი. შვეიცარიის ელჩმა პირადათ გადასცა პრეზიდენტ ვილსონს გერმანიის ნოტა მის სახელზე. გუშინ დილით შვეცის

ელჩმა გადასცა ბურიანის ნოტა; შვეიცარიის ელჩმა გერმანიის ნოტა გადასცა სტატს მდივანს ლანსინგს.

პარიზი. ექიმმა სოლფმა გარეშე საქმეთა სტატ-მდივანმა დაადასტურა ჩვენი იმედი, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია ერების დაახლოვება. იტალიის პრესას ერთი სიტყვაც არ უთქამს შექნილ მდგომარეობის შესახებ, სჩანს ცენზურა არ უშვებს ცნობებს. ვილსონისადმი მიმართული გერმანიის ნოტა პარასკევს, ღამის 12 საათზე გადაეცა პოლიტიკურ პარლამენტს და 6 ოქტომბერს ღამით ბერნიდან გადაეცა ვაშინგტონში. ფიქრობენ, რომ ხუთშაბათამდე, სანამ გერმანიის რეიხსტაგი შეიკრიბებოდეს პასუხს მიიღებენ.

პასუხი.

ბერლინი, ოქტ. 10. სტატს-სეკრეტარმა ლანსინგმა შვეიცარიის წარმომადგენელს გადასცა პასუხი გერმანიის საზავო ნოტაზე.

ცნობები მოსკოვიდან.

მოსკოვი, ოქტომბრის 8. აღმოსავლეთის ფრონტი. სამარის მიმართულება: სამარა ჩვენმა ჯარებმა აიღეს. ტაგალის მიმართულება: მტერმა სად. დონატოვო დაიკავა. ოსინის მიმართულება: ჩვენებმა იანაული დაიკავეს. ურალის მიმართულება: ჩვენ დავიკავეთ რამოდენიმე სოფელი და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. დასავლეთის ფრონტი: კასპიის ზღვის ნაპირებზე ბრიანსკთან მტერმა დესანტი გადმოსხა.

ბერლინი, ოქტ. 6. გერმანიის და ავსტრიის მთავრობამ მიმართა თხოვნით ნეიტრალურ სახელმწიფოებს და ვილსონს, რათა დაუყონებლივ მოხდეს დროებითი ზავი ყველა ფრონტებზე.

ბერლინი, ოქტ. 7. სოფიიდან 4 კილომეტრის მანძილზე ბრძოლაა. რევოლიუციონერებს ფრონტიდან მოსდით დახმარება.

ბერლინი. ყველა გაზეთები ზავზე სწერენ. რეიხსტაგის სხდომაზე ახალმა კანცლერმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც ზავის წინადადებას ეხებოდა. სხდომები გადადებულია რამდენიმე დღით. იმპერატორ ვილჰელმმა ჯარის და ფლოტის მიმართ ახალი მოწოდება გამოუშვა, რომელშიაც მოუწოდებს საყვარელ სამშობლოს დასაცავათ.

ვენა, ოქტ. 7. რეიხსრატის სხდომები [illegible].

გაიხსნა იტალიის პარლამენტი ორლანდომ საზეიმო სიტყვა წარმოსთქვა. საოპოზიციო სიტყვისთვის დაატუსაღეს ბისოლატი.

კიევი, ოქტ. 7. გერმანელ დეზერტირებს იჭერენ. გერმანელები უარჰყოფენ იმ ხმებს, რომ მათ უკრაინიდან ჯარი გაიყვანეს.

ხარკოვში 5 მასწავლებელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. რაკოვსკი მოსკოვში მიდის.

უკრაინის სამხედრო სამინისტროს პროექტი აქვს შექმნას ჯარი.

დონის როსტოვი: მბეჭდავთა გაფიცვები იზრდება, რაც მეწარმეებს აფიქრებს.

პეტროგრადი. საბჭოთა ჟურნალისტების კავშირის კრებამ ამერიკის ყვითელ პრესის საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა. გერმანიის პრესის ცნობით, კამბრე იწვის.

სოფია, ოქტ. 8. სახალხო კრება გადადებულია 15 ოქტომბრისათვის, როდესაც პარლამენტის ჩვეულებრივი სხდომები დაიწყება.

უკრაინა და რუმინია.

კიევში უკრაინისა და რუმინეთის შუა მოლაპარაკება დაიწყო.

უკრაინა და ბელორუსია.

მადნების პატრონების და სოფლის მეურნეთა დეპუტაციამ სთხოვა გეტმანს ბელორუსიის უკრაინასთან შეერთება.

სტამბული, ოქტ. 9. ყველა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელათაა.

ვენა, ოქტ. 9. იტალიის ფრონტზე გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. ბადონის ველზე, ეჩთან და ბრენტიდან აღმოსავლეთით ქვეითი ჯარების შეტაკება დაიწყო. ბრძოლა ჩვენთვის სასარგებლოთ მიმდინარეობს. ალბანეთში ფრანგების და სერბიელების ჯარი ჩვენ მიერ გაწმენდილ ელბსანში შევიდა ძველ სერბიაში მნიშვნელოვანი არაფერია.

დასავლეთის ფრონტი. გუშინდელ მძიმე მოგერებითი ბრძოლაში ვერდენთან მონაწილეობა მიიღეს სახელოვანმა ავსტრიელ-უნგრელთა ჯარებმა ფელდმარშალ-ლეიტენანტ შეტცგარის ხელმძღვანელობით.

ახალი ამბები.

მთავრობაში.

○ დღეს, პარასკევს, 11 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის სხდომაა.

○ შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა მთავრობას კანონ-პროექტი ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მოწყობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში.

○ შინაგან საქმეთა მინისტრმა თანახმად იუსტიციის მინისტრის განმარტებისა ბრძანება დაუგზავნა გუბერნიის და საოლქო კომისრებს: დღემდე შეუსრულებელი საბოლოო განჩინებანი ამ ჟამად გაუქმებულ სარევოლიუციო ტრიბუნალებისა უნდა შესრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპროკურორო ნაწილი საოლქო სასამართლოებისა მოახდენს სათანადო განკარგულებას.

○ მიწის ღალების აღების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა მიწათ-მოქმედების მინისტრისაგან შემდეგი თხოვნა მიიღო: „თანახმად საუწყებოთაშორისო კომისიის დადგენილებისა მემამულეთა და გლეხებ შორის ატეხილ დავას ღალის მიცემის შესახებ, სწყვეტს მხოლოდ და მხოლოდ სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობანი, ადმინისტრაციას კი სისრულეში მოჰყავს მათი განაჩენი. ამის გამო გთხოვთ მისწეროთ ყველა გუბერნიის, მაზრის, ოლქის და სოფლის კომისრებს, რომ თუ ვინიცობაა მემამულეთ ღალის ასაკრეფათ მიმართონ კომისრებს, იგი სრულიად არ უნდა შევიდეს მათ საჩივართა განხილვაში და მომჩივანი გაგზავნოს საჩივრად სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობაში და მხოლოდ მაშინ, როცა ამ გამგეობის დავალება იქნება ჩაერიოს მათ საჩივრების განხილვაში. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ მე ეროვნულ საბჭოში შემაქვს შესაფერისი კანონ-პროექტი, თუ რა წესით უნდა განხილულ იქნეს ყველა ის საჩივრები მემამულეთა და გლეხებ შორის, რომელნიც მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე იქნება ამ ღალების აკრეფის შესახებ“.

ქართული ლატარია.

○ ნოე სიხარულიძემ შემოსწირა ქართულ ლატარიას 25 ათასი მანეთი და ამის გარდა შეიძინა 25 ათასი მანეთის ლატარიის ბილეთი.

○ სოფიო დიმიტრის ასულმა და რუსუდან ნესტორის ასულმა საბახტარაშვილებმა შეიძინეს 30,000 მანეთის ბილეთი.

○ ნადეჟდა იესეს ასულმა გოგიტიძემ წაიღო 20,000 მან. ბილეთი.

○ დავით კალანდაძემ შეიძინა 125,000 მან. ბილეთები.

○ კ. ტყავაძემ სიღნაღის ბანკისათვის დაიკავა 4,000 ბილეთი 100,000 მანეთად ღირებული.

○ კახეთის კავშირის წარმომადგენელმა ქადაგიძემ წაიღო გასავრცელებლად 2 ათასი ბილეთი 50 ათას მანეთად ღირებული.

○ ტფ. მეშვიდე გიმნაზიის ინსპექტორმა სეით იაშვილმა გიმნაზიისთვის დაიკავა 1,000 ბილეთი 25 ათას მანეთად ღირებული.

ხელოვნება

○ ქართ. მუსიკალურ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ მთავრობის თავმჯდომარესთან დედათა ინსტიტუტის შენობის დათმობის შესახებ. ბ. ჟორდანიამ დიდის თანაგრძნობით დახმარება აღუთქვა.

○ სახელოვნო კომისიამ დაავალა ბ. ა. ახმეტელს დაათვალიეროს დედათა ინსტიტუტის შენობა ქართ. მუსიკალურ სკოლის მოსათავსებლად.

○ ეროვნულ საბჭოს ხელოვნების სექციამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ყოფილ დიდების ტაძრის შენობა რუსთაველის პროსპექტზე აგებული გადაეცეს სექციას სხვა და სხვა მხატვრულ გამოფენათა მოსაწყობათ. ეს ცნობა მოხსენდა სამხედრო მინისტრსაც.

სასურსათო საქმე.

○ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარედ და უმთავრეს რწმუნებულად მთავრობამ ა. ი. არდიშვილი დანიშნა.

○ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით ფოთში საზღვარ-გარეთიდან შემოზიდულ საქონლის გამოსყიდვის შესახებ დაადგინეს. 1) გაუქმდეს მარილზე მონოპოლია, 2) დაწესდეს მარილზე ნიხრი, 3) დაევალოს ფინანსთა მინისტრს მისცეს სასურსათო საბჭოს თავმჯდომარეს ფოთის ნავთსადგურის მუშების გასასტუმრებლად ნაწილ-ნაწილად საჭირო ფული.

○ სასურსათო უწყების რწმუნებულის ბ. ცინცაძის დეპეშის თანახმად (ფოთიდან) ფოთში მიღებულია ყუბანიდან 25 ათასი ფუთი პური, მარა უფულობის გამო ჯერ არ გადმოუტვირთავთ გემებიდან.

ქალაქის საბჭოში.

○ ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს კრება შესდგა გადადგომილ ქალაქის გამგეობის მაგივრათ ახალი არჩევნის მოსახდენათ. კრების დაწყებამდე საბჭოს ფრაქციებს თათბირი ჰქონდათ არჩევნების გამო. ამიტომ, სხდომა $9^1/_4$ საათზე დაიწყო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის გ. ს. თავჯიანის თავმჯდომარეობით. მსმენელთა შორის დარბაზში ისხდნენ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნოე ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. ნ. ვ. რამიშვილი, ბ. ე. პ. გეგეჭკორი და აგრეთვე სხვა პარტიების ლიდერები. კრებაზე ბევრი ხმოსანი დაესწრო. დარბაზის ქანდარა სავსე იყო ხალხით. არჩევნების გამო გამოწვეულმა კამათმა შუაღამემდე გასტანა. დაშნაკცაკანთა წარმომადგენელმა შემდეგი განცხადება წაიკითხა დასახელებულ ფრაქციის სახელით: „რადგან 7 ოქტომბერს მიღებულ რეზოლიუციას, რომლითაც განსაკუთრებულ რაზმს დახმარება აღუთქვეს, კატეგორიულათ უარვყოფთ, ამიტომ შეუძლებლათ ვსთვლით მომხრეებს შევხდეთ ქალაქის გამგეობაში, რადგან ეს ჩვენი პარტიის რწმენას და პრინციპებს ეწინააღმდეგებაო“-ო.

დაშნაკცაკანებს მიემხრენ ესერები და კადეტები. კამათის შემდეგ კენჭის ყრა მოხდა, რომელშიაც დასახელებული ფრაქციები მონაწილეობას არ იღებდენ. ამოირჩიეს ქალაქის მოურავათ ნ. ზ. ელიავა, რომელმაც მიიღო 41 თეთრი და 3 შავი კენჭი. მის ამხანაგათ —გ. გ. კონიევი (41 თეთრი და 3 შავი) ქალაქის გამგეობის წევრებათ ამეირჩიეს: ს. გ. ფირუმოვი (43-2), ი. ი. ზესელიძე (42-2), ი. ბ. ჩერქეზიშვილი (40-4) და ი. ი. ხურამოვიჩი (40-4) ე. ი. ოთხი სოც.-დემ., ერთი დამოუკიდებელი ესერი და ერთი მაჰმადიანთა პარტიის წევრი. გამგეობაში აქამდე ცხრა წევრი მუშაობდა თერთმეტის მაგივრათ. ქალაქის მოურავმა ნ. ზ. ელიავამ, რომელსაც ტაშის კვრით მიეგებენ, საბჭოს მადლობა გამოუცხადა მის ამორჩევისა და ნდობის გამოცხადებისთვის და დაჰპირდა საბჭოს, ეს ნდობა გაამართლოს თავისი მოღვაწეობით. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

რკინის გზაზე.

○ მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით საქართველოს რკინის გზების მოსამსახურეთა ვალის გასტუმრების შესახებ დაადგინეს რკინის გზების მოსამსახურეთა ორგანიზაციას მიეცეს პურის ვალში ერთი ვაგონი შაქარი.

○ მთავრობის საქმეთა მმართველის მოხსენებით კახეთის რკინის გზის საზოგადოებას კრებაზე გასაგზავნ მთავრობის წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ, დაადგინეს: მიენდოს გზათა მიმოსვლის და ფინანსთა მინისტრებს კანდიდატების დასახელება შემდეგ სხდომისათვის.

○ გზათა მინისტრი ივ. ნ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა ტფილისში და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

○ ოჩემჩირის ქალაქის თავი ჟორჟოლიანი დეპეშით ატყობინებს გზათა მინისტრს, რომ მთელი ქონება შავი ზღვის პირის რკინის გზისა საჯაროთ იყიდება.

○ რკინის გზის ტელეგრაფის უფროსმა ქავთარაძემ ბრძანება გასცა, რომ ფხიზლად დაიცვან წესდებანი დეპეშათა გზავნის შესახებ და ისეთ შინაარსის დეპეშები, რომელნიც ნაკლებ საყურადღებოა, ფოსტით გზავნონ, ვინაიდან ტარიფის გადიდების შემდეგ საგრძნობლად ხარჯებს იწვევს, ამიტომ ყველა იმ პირთ, ვისაც უფასოდ გზავნის უფლება აქვს დეპეშისა, წინადადება ეძლევა სასტიკად დაიცვას ეს ბრძანება.

ქართველი ოფიცრები.

○ კონიაშვილი და ხარაში იტყობინებიან სოხუმიდან, რომ იმ ქართველ და სომეხ აფიცრებს, რომელთაც სათანადო მოწმობანი არ ექნებათ, არ გაუშვებენ საზღვარ გარეთ.

ვაჭრობა-მრეწველობა.

○ ფინანსთა მინისტრის მოხსენება და კანონ-პროექტი მოკლე ვადიანი სესხის შესახებ მოწონებულ იქნეს და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს. მიენდოს ფინანსთა მინისტს დაამტკიცოს გერმანელ კავკასიის ბანკის წესდება იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს არსებულ კანონის და უკვე არსებულ კომერციულ ბანკების წესდებათა ფორმალურ მოთხოვნილებას.

○ ფინანსთა მინისტრის მოხსენებით ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ საქონლის გაცვლის კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ დაადგინეს: მოწონებულ იქნას და მიენდოს ხსენებულ მინისტრს წარმოუდგინოს მთავრობას კომიტეტის შტატები.

სხვა და სხვა ამბები

○ საგუბერნიო აგრონომის თანამდებობის ასრულებას შეუდგა აგრონომი ი. ზ. ქურდიანი.

○ კახეთიდან დაბრუნდა ტფ. მიტროპოლიტი ლეონიდი.

○ ს. წიაღუბანში (ოზურგეთის მაზრაში) მოუკლავთ წითელ-გვარდიელი გიორგაძე.

განცხადებები

კავკასიის უწმიდესი და უმართებულესი სინოდის კანტორა აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ. 10-ს იქ შეიტანა თხოვნა იულიანა კირილეს ასულმა ტიმოსჩუკისამ, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, მე-8 უბანში, ამატუნევის ქუჩაზე, ბაბიკოვის სახლში, № 42. მის ქმართან სოფრომ ივანეს ძე ტიმოსჩუკთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილი არიან სოფ. ბუშჩის, დუბენის მაზრა, მიხეილის ეკლესიაში 1889 წ. თებერვლის 8-ს. მთხოვნელის განცხადებით, სოფრომ ივანეს ძე ტიმოსჩუკი არა სჩანს 1913 წ. სექტ. 1. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ტიმოსჩუკი, ვალდებულია განუცხადოს ტფ. სინოდალურ კანტორას, ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან.
867 1—1

კავკასიის უწმინდესი და უმართებელესი სინოდის კანტორა აცხადებს, რომ იქ 1918 წ. სექტ. 25-ს შეიტანა თხოვნა ნადეჟდა როსტომის ასულმა ბორისენკომ, რომელიც ცხოვრობს მიხეილის პრ., № 141, მის ქმართან მიხეილ მიხეილის ძე ბორისენკოსთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარ დაწერილი არიან ტფილისში ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში 1899 წ. მაისის 14-ს. მთხოვნელის ნადეჟდა როსტომის ასულის ბორისენკოს განცხადებით, მისი ქმარი მიხეილ ბორისენკო არა სჩანს 1911 წლიდან. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ბორისენკო, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კანტორას, ამ განცხადების დაბეჭდვიდან ერთი თვის ვადაში.
820 1—1

ვართან ამაზასპის ძე ვართანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ახალციხის სამაზრო სამმართველოდან 1896 წ. აგვისტოს 14-ს. № 14.
868 1—1

დაიკარგა ტფილისის 1 კერძო ლომბარდის ბილეთი № 47900, 150 მანეთისა.
872 3—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 19, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ისაკ ობუხოვსკის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს 6 რკინის ჰურჭელს, წონით დაახლოვებით 400 ფუთს, შეფასებულია 8.000 მან. ქონება იყიდება გდალია კირშბაუმის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა მოხდება ელისაბედის ქუჩაზე, № 139, ობუხოვსკის ქარხანაში.
869 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა სასამართლოს 1918 წლის 4 ივლისის დადგენილებით ამ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელნიც მოგების მიღების აზრით არ არიან დაარსებულნი, მე-32-№-რით ჩარიცხულია „ტფილისის სატეხნიკო ძალათა კავშირი“.
(578. 4—3)

ს. ბაკურციხეში თავს დამეცნენ ავაზაკები დ ფულებთან და სხვა რამეებთან ერთად წამართვეს

პასპორტი

სიღნაღის მაზრის უფროსის მიერ მოცემული 1908 წ. ჩემს სახელზე. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ვაჩნაძე.
№ 853. 3—3

სიდონია მორბედაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგვია უვადო პასპორტი № 540.
(3—3)

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მებრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.
624. 30—4.

დავკარგე დუბლიკატი № 271799 რკინის გზის მიერ მოცემული. 1 ვაგ. (№ 333068) 980 ფ. მარილის ფოთიდან გამოგზავნისა სასურსათო სამინისტროს სახელზედ. გამომგზავნელია ბ. ჯანუაშვილი. რადგანაც ეს დუბლიკატი სხვისთვის გამოსადეგარია, ამიტომ ვინც მომიტანს, ჯილდოთ მიიღებს ას თუმანს. მისამართი: ტფილისი, პუშკინის ქუჩა, პირველ ხარისხოვანი რესტორანი „საქართველო“. მოსე სილოვანის ძე თალაქვაძე.
862 3—2

კავკასიის უწმიდესი და უმართებელესი სინოდის კონტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ივნისის 26 იქ შეიტანა თხოვნა ელენე ივანეს ასულმა ხმელევსკისამ, რომელიც ცხოვრობს ქ. ფოთში, მის ქმართან კონსტანტინე ალბერტის ძე ხმელევსკისთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარ დაწერილი არიან ბათომის ქალაქის მიხეილის ეკლესიაში 1903 წ. ივლისის 20. მთხოვნელ ე. ი. ხმელევსკის განცხადებით კონსტანტინე ხმელევსკი აღარა სჩანს 1911 წ. იანვრის 15-დან. ამ განცხადების ძალით, ყველა ვინც იცის სად არის კონსტანტინე ხმელევსკი, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კონტორას ქ. ტფილისში, ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან.
509. 3—2.

მთავრობის სტამბა.

რედაქტორი ვ. დ. ხაჭაპარიძე